



5 ივნისი, 2019

ოთხშაბათი, №6 (2232)



**სტუდენტური
ექსკურსია
სამცხე-ჯავახეთში
14 ივნისს დაიწყება**



სტუდენტებს შორის ურთიერთ-კავშირის გამყარებისა და გაღრმავების მიზნით, ერთი თვის განმავლობაში 30-მდე თსუ-ის სტუდენტი სამცხე-ჯავახეთში იცხოვრებს. სტუდენტები ერთობლივად დაგეგმილ სხვადასხვა ღონისძიებებში მიიღებენ მონაწილეობას, რომელთა შორის ექსკურსიები და ფილმების ჩვენებაა. ერთი თვის მანძილზე თსუ-ის პროფესორები სამცხე-ჯავახეთში ჩავლენ და ექსპედიციის მონაწილეებს სხვადასხვა თემაზე საჯარო ლექციებს წაუკითხავენ.

მომავალი ექსპედიციისთვის 30-მდე სტუდენტმა სამზადისი ფოკადან, ფარანის ტბიდან დაიწყო, სადაც ად-აპტაციის მიზნით რამდენიმე დღის განმავლობაში კარვებით დაბანაკდნენ.

სტუდენტების წინასაექსპედიციო სამზადისს თსუ-ის რექტორის მოადგილე ნინო ოკრიბელაშვილი შეუერთდა. იგი ფოკაში სტუდენტებს ესტუმრა, მათ გეგმებს გაეცნო და წმინდა ნინოს საქართველოში შემოსვლის დღისადმი მიძღვნილ სადღესასწაულო წირვა-ლოცვას დაესწრო.

სტუდენტური ექსპედიცია სათავეს 2001 წლიდან იღებს. წლევანდელი ექსპედიცია 14 ივნისს დაიწყება და 14 აგვისტომდე გაგრძელდება. მასში მონაწილეობის მიღება თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ნებისმიერ სტუდენტს შეუძლია.

თსუ ფუტსალის ლიგის თასის გფლორია!!!



ფუტსალის ლიგის ფინალში „თსუ“-მ „თელასი“ 3:2 ანგარიშით დაამარცხა და ჩემპიონი გახდა!!!

ნომერები

რეალური საერთაშორისო ურთიერთობები და პერსპექტივები თსუ-სთვის NAFSA 2019



83. 3

მაზია ბერიშვილის მოგონებები წიგნად გამოიცა

83. 3

დედა ენისადმი მიძღვნილი კონფერენცია თურქეთის ქალაქ ინეგოლში

83. 4

ამერიკისმცოდნეობის მე-20 ყოველწლიური საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია

83. 5

ქართველებმა და აფხაზებმა ერთობლივი სამეცნიერო-პოპულარული ფილმი გადაიღეს

83. 10

ლალი ქეცბა-ხუნდაძე პოეტის ამბლუაში

83. 10

ლექციების კურსს „მენეჯერული ეკონომიკა“ სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის პრემია მიენიჭა

83. 11

ცოცხალი ალასიოსი



83. 8

გერმანიაში დაბადებული და განათლებამიღებული, მამის სამშობლოში (საქართველოში) დაბრუნებული, ვაჟს ლექსებით „გაგიჟებული“, მერაბ მამარდაშვილის მეგობარი... ფილოსოფოსი, რომლის თითოეული მოხსენება, თავის დროზე, სადოქტორო დისერტაციის ტოლფასი იყო, ამბობდნენ... ნერს რომანებს, თხზულებებს, მინიატურებს, ესეებს... დღეს ის ჩვენს შორის დაიარება...



გზა დასაქმებისაკენ

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტებმა და კურსდამთავრებულებმა კერძო და საჯარო სფეროს წარმომადგენელი კომპანიებისა და ორგანიზაციებისგან სტაჟირების, დასაქმებისა და კარიერული განვითარების სხვადასხვა შეთავაზება მიიღეს. 28 მაისს თსუ-ის სამეცნიერო ეროვნული ბიბლიოთეკა სტუდენტების დასაქმების ფორუმს მასპინძლობდა. საქართველოში მოქმედმა მსხვილმა კომპანიებმა დაინტერესებულ ახალგაზრდებს დასაქმების ბაზარზე არსებული რეალური ვაკანსიები შესთავაზეს.

ფორუმში მონაწილეობას 50-ზე მეტი ადგილობრივი და საერთაშორისო კომპანია იღებდა, მათ შორის: თიბისი ბანკი, თიბისი დაზღვევა, იუსტიციის სახლი, „ნიკორა“, „დომინო“, სადაზღვევო კომპანია „არდი“, „ჯი პი აი ჰოლდინგი“, „გუდვილი“, „კარფური“, „Paul“, „Palais de the“, „Yves Rocher“, ბაზისბანკი, კრედიო ბანკი, BDO, UGT, „ვენდისი“, „დანკინი“ და „პსპ დაზღვევა“.

თსუ-ის სტუდენტებმა და კურსდამთავრებულებმა ვაკანსიების გაცნობის შემდეგ დასაქმების სფეროში არსებული ტენდენციების შესახებ საუბარი-სტუმრების ლექციები მოისმინეს.

მარიამ ივანიძე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის III კურსის სტუდენტია. როგორც თავად ამბობს, ფორუმის შესახებ სტუდენტური პორტალიდან — lms.tsu.ge-დან გაიგო. ფორუმში მონაწილე კომპანიების ჩამონათვალმა კი მაშინვე მიიპყრო მისი ყურადღება. „ვფიქრობ, მსგავსი ღონისძიებები ძალიან მნიშვნელოვანია თითოეული სტუდენტისთვის. ეცნობი კომპანიისა და არსებული ვაკანსიების შესახებ დეტალურ ინფორმაციას და, უკეთეს შემთხვევაში, საქმეები კიდევ. სტუდენტებს შესაძლებლობა გვაქვს, რომ პირისპირ გავსაუბროთ კომპანიების წარმომადგენლებს, უფრო კარგად გავიგოთ, თუ რა მოთხოვნები აქვთ მათ და რამდენად შესაბამისობაშია ისინი ჩვენთან. მინდა აღვნიშნო, რომ თითოეული კომპანია საკმაოდ საინტერესო ვაკანსიებს გვთავაზობს“, — ამბობს იგი ჩვენთან საუბარში.

ფორუმში მონაწილეობას 50-ზე მეტი როგორც ადგილობრივი, ასევე საერთაშორისო კომპანია იღებდა. ისინი წარმოადგენდნენ საბანკო, საფინან-



სო, დაზღვევის, სამედიცინო და ფარმაცევტულ სფეროებს, მსხვილ საავტომობილო და სადისტრიბუციო ქსელებს, მომსახურებისა და ტურიზმის სექტორს, სხვადასხვა პროფილის საკონსულტაციო და კვლევით ორგანიზაციებს.

„სტუდენტი ეს ის სექტორია, რომელიც ჩვენი კომპანიისთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია. ისინი მოდიან ახალი ხედვით, ახალი ძალებით. ჩვენ მაქსიმალურად ვცდილობთ, რომ მათი განვითარება სწორი გზით მოხდეს. შესაძლოა, წლების განმავლობაში ვაგროვებდეთ ცოდნას, თუმცა, ახალგაზრდების შესაძლებლობები ბევრად უფრო ჯანსაღია. „ლიბერტი ბანკი“ მათ სხვადასხვა ვაკანსიას სთავაზობს და ის არ შემოიფარგლება მხოლოდ საბანკო სექტორით. სტუდენტებს აქვთ შესაძლებლობა, რომ გაცნონ ვაკანსიებს კომპიუტერული პროგრამირების, პირისპირ და იურიდიული მიმართულებითაც“, — გვითხრა „ლიბერტი ბანკის“ შერჩევის განყოფილების უფროსმა სპეციალისტმა ნია მელიქიძემ.

თითოეული კომპანიის მსგავსად, სტაჟირება დასაქმების პირველ ეტაპს წარმოადგენს იუსტიციის სახლისთვის. HR სამსახურის თანამშრომლის ნინო ნანუკაშვილის განცხადებით, სტაჟირების ხანგრძლივობა დამოკიდებულია სტუდენტის ძალისხმევაზე და მონაწილეობაზე. „მიხარია, რომ სტუდენტები აქტიურად არიან ჩართულნი მსგავსი ტიპის ღონისძიებებში. ჩვენც ვცდილობთ, რომ ხელი შევუწყოთ მათ შესაძლებლობებს. რაც შეეხება სტაჟირებას, პირველი საფეხური არის სივრცის კონსულტანტის პოზიცია და იმის მიხედვით, თუ რამდენად წარმატებული

იქნება ესა თუ ის პრაქტიკანტი, ხდება მისი დანიშნულება. მინდა გითხრა, რომ იუსტიციის სახლში დღეს დასაქმებულთა 94%-მა სწორედ სტაჟირებით დაინყო ჩვენთან ურთიერთობა“, — განაცხადა ნინო ნანუკაშვილმა.

სტუდენტთა დასაქმების ფორუმში ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და თსუ-ის ეროვნული სამეცნიერო ბიბლიოთეკის თბილისის ბიზნესისა და ახალი ტექნოლოგიების ცენტრის ორგანიზებით გაიმართა. დასაქმების ფორუმში 2015 წლიდან სისტემატიურად, წელიწადში ორჯერ ტარდება.

თსუ-ის კარიერული განვითარების ცენტრის ხელმძღვანელის გიორგი გრიგოლაშვილის განცხადებით, დასაქმების ფორუმში ყოველწლიურად 1000-ზე მეტი სტუდენტი მონაწილეობს. „კომპანიები სტუდენტებს პირველ ეტაპზე ძირითადად სტაჟირების პროგრამებს სთავაზობენ. თუმცა, წარმატებული თანამშრომლობის შემდგომ, მათ მალევე ეძლევათ შესაძლებლობა, რომ დასაქმდნენ შესაბამის პოზიციებზე. ზოგ შემთხვევაში, ორგანიზაციები ახალგაზრდებს ანაზღაურებენ ვაკანსიებს სთავაზობენ, ეს, რა თქმა უნდა, დამოკიდებულია კომპანიაზე, მის გეგმებსა და მიზნებზე“, — აღნიშნა გიორგი გრიგოლაშვილმა.

თსუ-ის ეროვნული სამეცნიერო ბიბლიოთეკა დასაქმების ფორუმს წელს პირველად მასპინძლობს. ეროვნული ბიბლიოთეკის დირექტორის ირაკლი ღარიბაშვილის განცხადებით, ფორუმის მთავარ მიზანს სტუდენტებისა და ორგანიზაციების ერთმანეთთან დაკავშირება წარმოადგენს. ეს მნიშვნე-

ლოვანია როგორც სტუდენტებისთვის, რომლებიც დასაქმებით არიან დაინტერესებულები, ასევე კომპანიებისთვისაც, რომლებსაც ახალი ვაკანსიები აქვთ და უნდათ, რომ გააცნონ ისინი ახალგაზრდებს.

აღსანიშნავია, რომ ფორუმში მონაწილეობის მიღება სხვადასხვა უნივერსიტეტის სტუდენტებსა და კურსდამთავრებულებს შეეძლოთ. და სულაშვილი „Instituto Empresa“-ში (მადრიდი, ესპანეთი) ბიზნესის ადმინისტრირებასა და მართვას ეუფლება. როგორც თავად ამბობს, დასაქმების ფორუმის შესახებ სოციალური ქსელის მეშვეობით გაიგო. „უცხოეთში ძალიან ხშირად ტარდება მსგავსი ტიპის ფორუმები და ძალიან მიხარია, რომ ის ჩვენს ქვეყანაშიც ასეთი აქტუალურია. პირველ რიგში, კომპანიათა ნუსხამ დამაინტერესა. ყველა სფეროდან არის მრავალფეროვანი არჩევანი. იმის ნაცვლად, რომ სტუდენტმა ეძიოს სამსახური, თვითონ კომპანიები უკავშირდებიან განათლებულ და მოტივირებულ ახალგაზრდებს. ვფიქრობ, ნამდვილად რეალური ვაკანსიები დასაქმების რეალური პერსპექტივით“, — თქვა მან. დეა ჯერ III კურსის სტუდენტია, თუმცა უნივერსიტეტის დასრულებისთანავე სამშობლოში დაბრუნებას აპირებს. როგორც თავად ამბობს, ფორუმზე ბევრ ისეთ შემთავაზებას გაცნო, რაც მოტივაციას აძლევს, რომ კარიერული განვითარება საქართველოში მოახერხოს.

ანა გააუზანიშვილი,
თსუ-ის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის სტუდენტი

საქველმოქმედო ჯონცერები გიორგი ხალიაშვილის დასახმარებლად

ნატო ობოლაძე

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტურმა თვითმმართველობამ საქველმოქმედო კონცერტი გამართა. საღამოს ორგანიზება თსუ-ის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტების სტუდენტური თვითმმართველობის წევრებმა გაუწიეს. კონცერტი — „საღამო, რომელიც გვახსენებს ბავშვობას“ — პირველი კორპუსის სააქტო დარბაზში გაიმართა. საღამო მუსიკალურად რომა რცხილაძემ, ირმა სოსხაძემ, პანჩომ და ბენდმა „giraffe“ გააფორმეს. მომღერლებმა ადრეული ჰიტები შეასრულეს. ღონისძიება 21 წლის ფოტოგრა-

ფის გიორგი კალიაშვილის დასახმარებლად გაიმართა, რომელიც ამ დროისთვის თურქეთში მკურნალობს. „გიორგი კალიაშვილს ლეიკემია დაუდგინდა. ჩაუტარდა რამდენიმე ოპერაცია, თუმცა გარკვეული გართულებები მოჰყვა. მდგომარეობა მძიმეა და მას ჩვენი გვერდში დგომა სჭირდება. მიუხედავად იმისა, რომ ღონისძიების დაგეგმვა-განხორციელება ორ დღეში მოგვინია, ყველაფერმა კარგად ჩაიარა. გარკვეული თანხა შევაგროვეთ. დახმარების სურვილი მომღერლებმაც გამოთქვეს“, — გვითხრა ღონისძიების ორგანიზატორმა, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სტუდენტური თვითმმართველობის თავმჯდომარემ მარიამ თვალაძემ. საქველმოქმედო საღამოზე, სააქტო დარბაზის ჰოლში უამრავი დეკორატიული ნივთიც გამოიფინა. ღონისძიება 22 მაისს გაიმართა.



რეალური სავაჭრო ურთიერთობები და ჰერსკეპიზაბი ტსუ-სთვის

NAFSA 2019



საქართველოს ელჩი დავით ბაქრაძე განათლების გამოფენას („NAFSA 2019“) ესტუმრა, სადაც ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორმა გიორგი შარვაშიძემ უნივერსიტეტში არსებული სიახლეები და სამომავლო გეგმები გააცნო. საუბარი, ასევე, შეეხო საქართველოს საელჩოს მხარდაჭერით ტსუ-სა და ამერიკულ უნივერსიტეტებს შორის კავშირების გაფართოებას. ამავე დღეს ტსუ-ის რექტორმა გიორგი შარვაშიძემ და ხარისხის განვითარების სამსახურის უფროსმა ირმა გრძელიძემ სხვადასხვა ქვეყნის უნივერსიტეტისა და საგანმანათლებლო ორგანიზაციის წარმომადგენელთან შეხვედრა გამართეს და მომავალი თანამშრომლობის გეგმებზე ისაუბრეს.

ტსუ-ის რექტორსა და ფრანგული უნივერსიტეტის „ლიონ 2“-ის ვიცე-პრეზიდენტს შორის საუბრის თემა ფრანგულ-ქართული უნივერსიტეტის განვითარების პერსპექტივები იყო, რომელიც ერთობლივ სასწავლო პრო-

გრამებს შეეხება. როგორც ჯეიმს ვოლკერმა აღნიშნა, ფრანგული უნივერსიტეტი მზად არის ტსუ-სთან კულტურის პოლიტიკის მიმართულებით ერთობლივი პროგრამის განხორციელებაზე აქტიურად იმუშაოს. გამოფენაში „NAFSA 2019“ 100-ზე მეტი ქვეყნიდან 4000-მდე მონაწილეა წარმოდგენილი, Study in Georgia-ს ფარგლებში კი 5 ქართული უნივერსიტეტი მონაწილეობს.

10-ზე მეტი ქვეყნის სხვადასხვა უნივერსიტეტის წარმომადგენელთან გაიმართა შეხვედრა ვაშინგტონში საგანმანათლებლო გამოფენის „NAFSA 2019“ ფარგლებში, რომელშიც ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი მონაწილეობდა.

იტალიის, ესპანეთის, საფრანგეთის, ჩეხეთის, ჩინეთის, დიდი ბრიტანეთის, ირლანდიის, აშშ-ს, კანადის, ავსტრალიის, ჩილეს და იაპონიის უნივერსიტეტების წარმომადგენლებთან შეხვე-

დრისას ტსუ-ის რექტორის გიორგი შარვაშიძის ხელმძღვანელობით ტსუ-ის დელეგაციის წევრთა მიერ საუბარი შეეხო არსებული თანამშრომლობის გაღრმავებას, ერთობლივი პროგრამების შემუშავებას, სტუდენტების, აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის მობილობის ხელშეწყობას. როგორც იტალიური უნივერსიტეტების წარმომადგენლებმა აღნიშნეს, ტსუ კარგი პარტნიორია გაცვლითი პროგრამებისა და ინსტიტუციური განვითარების პროექტების კუთხით. ვიზიტისას შეთანხმდნენ, რომ უახლოეს პერიოდში სიენას უნივერსიტეტთან თანამშრომლობის ხელშეწყობა დაიწყება.

ტსუ-სთან პროდუქტიულ პარტნიორობაზე ისაუბრეს სევილიის უნივერსიტეტის წარმომადგენლებმა, რომლებმაც, ასევე, ხაზი გაუსვეს სახელმწიფო უნივერსიტეტის როლს იმ პროექტების წარმატებაში, რომელიც „ERASMUS+“-ის ფარგლებში ხორციელდება. როგორც ედინბურგის უნივერსიტეტის ვიცე-რექტორმა (ხარისხის მიმართულებით) აღნიშნა,

მათი უნივერსიტეტი მზად არის აქტიურად ითანამშრომლოს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტთან ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების გაუმჯობესების, ტსუ-სა და ედინბურგის უნივერსიტეტის სტუდენტურ თვითმმართველობებს შორის თანამშრომლობის გაძლიერების მხრივ.

პროგრამების გარე შეფასება, საზღვრულ სკოლების ორგანიზება, ფსიქოლოგიაში ერთობლივი კვლევების წარმოება და აკადემიური/ადმინისტრაციული პერსონალის გაცვლის ხელშეწყობა იყო მთავარი თემა ლიმერისკის Mary Immaculate კოლეჯის წარმომადგენლებთან შეხვედრაზე. კოლეჯის პრეზიდენტის იუგენ უოლის თქმით, კოლეჯი მზად არის ტსუ-ის ფსიქოლოგისა და განათლების მეცნიერებების ფაკულტეტთან მჭიდრო თანამშრომლობისთვის. ამ მიმართულებით ირლანდიაში პირველი ვიზიტი უკვე დაიგეგმა.

გამოფენა „NAFSA 2019“ 28-31 მაისს ვაშინგტონში გაიმართა და მასში 100-ზე მეტი ქვეყნის 4000-მდე მონაწილე იყო.

მამია ბერიშვილის მოგონებები წიგნად გამოიცა

ნაბო ობოლაძე

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი საქართველოს პირველი რესპუბლიკის მთავრობისა და საფრანგეთში მცხოვრები ემიგრანტების არქივის შესწავლა-დამუშავებას განაგრძობს. XX საუკუნის საქართველოს უცნობი ისტორიის ამონარიდებიდან, ამჯერად, ემიგრაციაში მცხოვრები ქართველი პოლიტიკოსისა და საზოგადო მოღვაწის მამია ბერიშვილის მოგონებები გამოქვეყნდა. წიგნი სახელწოდებით — „რკინის რიდე“ — ტსუ-ის ბიბლიოთეკის დირექტორმა ზურაბ გაიპარაშვილმა გამოსცა.

„ჩვენი საზოგადოების ცოდნა, მათ შორის ჩემიც, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის და ქართველი ემიგრანტების შესახებ მწირია. ამ საკითხთან დაკავშირებით მამია ბერიშვილის საარქივო დოკუმენტებზე მუშაობისას უდიდესი ინფორმაცია მივიღეთ. ეს ადამიანები ნამდვილად ფიქრობდნენ საქართველოზე. მამია ბერიშვილის ჩანაწერებიდან კარგად ჩანს მათი ბრძოლის დეტალები საქართვე-


ლოს გასათავისუფლებლად. ვფიქრობ, რომ ჩანაწერების ნაწილი, რომელიც წიგნად გამოვეცით, მკითხველისთვის ძალიან საინტერესო იქნება. მინდა გითხრათ, რომ საბჭოთა საქართველოში არსებულ ინსტიტუტებს შორის ისინი მხოლოდ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიმართ გამოხატავდნენ ნდობასა და პატივისცემას. უფრო მეტიც, არსებობდა მოსაზრება ლევილის მამულის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისთვის გადასცემის შესახებ. წიგნი „რკინის რიდე“ მკითხველს ნათელ წარმოდგენას შეუქმნის მამია ბერიშვილზე, როგორც პატრიოტზე, საინტერესო მოაზროვნეზე და დახვეწილ პოლიტიკოსზე“, — განაცხადა გამოცემის რედაქტორმა ზურაბ გაიპარაშვილმა.

მამია ბერიშვილი 1917 წლის 15 მაისს დაიბადა. 1941 წელს გერმანიის ჯარების მიერ სსრკ-ზე შეტევის დროს 700 000 ქართველთან ერთად რუსულ არმიამ გაიწვიეს. 1942 წლის 3 ივნისს სევასტოპოლში დააკავეს და რუმინეთის საკონცენტრაციო ბანაკში გადაიყვანეს. დანარჩენ ქართველ ტყვეებთან ერთად ნოე ჟორდანიამ, რომელიც აკაკი ჩხენკელის შუამავლობით ქართველ პატიმართა



ზურაბ გაიპარაშვილი

სიებს იღებდა, მამია ბერიშვილი ტყვეობიდან დაისხნა და თავშესაფარი საფრანგეთში მისცა. სწორედ აქედან დაიწყო მამია ბერიშვილის აქტიური მოღვაწეობა საქართველოს თავისუფლებისთვის და საბჭოთა რეჟიმის წინააღმდეგ. იგი იყო ქართული სოციალ-დემოკრატიული პარტიის საზღვარგარეთული ბიუროს წევრი. ჯერ კიდევ საბჭოთა რეჟიმის პერიოდში საქართველოში 3-ჯერ ფარულად იმოგზაურა. მეუღლესთან ერთად მართავდა ლევილის მამულსა და უვლიდა ქართველთა სასაფლავს. სწორედ მამია ბერიშვილის დამსახურებაა, რომ ლევილის მამული და საქართველოს პირველი რესპუბლიკის არქივი ოფიციალურად საქართველოს გადმოეცა. საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტიის საზღვარგარეთული ბიუროს უკანასკნელ წევრთან, მამია ბერიშვილის ვაჟთან, ტიერი ბერიშვილთან შეთანხმებით, არქივის ბოლო ნაწილი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში 2015 წელს დაბინავდა.



ტიერი ბერიშვილმა მამის არქივის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისთვის გადმოცემის გადაწყვეტილება მიიღო 2015 წელს გამართულ დიასპორის ფორუმზე — „გაუზიარე გამოცდილება სამშობლოს“. არქივის პირველადი დამუშავების მიზნით საფრანგეთში ტსუ-ის ბიბლიოთეკის დირექტორი ზურაბ გაიპარაშვილი და ბიბლიოთეკის თანამშრომელი ქეთევან ქუსიკაშვილი გაემგზავრნენ. შედეგად, წიგნი „რკინის რიდე“ მკითხველი მამია ბერიშვილის შესახებ არაერთ საინტერესო ინფორმაციას გაეცნობა, მათ შორის მის მოგონებებს, ფოტოებს, საბჭოთა საქართველოში ფარულად შემოსვლის ისტორიებსა და საზღვარგარეთ არსებული სოციალ-დემოკრატიული პარტიის მოღვაწეობის ამსახველ დოკუმენტებს. სათაურად გამოტანილია მამია ბერიშვილის ტერმინი — „რკინის რიდე“, რომელსაც იგი თავის ჩანაწერებში „რკინ-



დალა ენისადმი მიძღვნილი კონფერენცია თურქეთის ქალაქ ინეგოლში

2015 წლიდან ქალაქ ინეგოლში (ბურსის რეგიონი, თურქეთის რესპუბლიკა) ტარდება სამეცნიერო-პოპულარული კონფერენცია, რომელიც წელს მეხუთედ გაიმართა. ღონისძიების ორგანიზატორია ინეგოლის კავკასიური ფოლკლორისა და კულტურის საზოგადოება (ხელმძღვანელი ომერ ფარუქ დემირთაში), ხოლო მხარდაჭერი — სტამბოლის ქართული ხელოვნების სახლი (ხელმძღვანელი გიორგი ირემაძე). ამ წლების განმავლობაში კონფერენციები სხვადასხვა თემატიკას და საიუბილეო თარიღს მიეძღვნა, თუმცა ძირითადი აქცენტი კეთდება ქართული ენის, როგორც ეთნიკური იდენტობის მთავარი მახასიათებლის, გადარჩენასა და განვითარებაზე. კონფერენციებზე მომხსენებლები იყვნენ როგორც სტუმრები საქართველოდან, ასევე ადგილობრივი ქართველოლოგი მეცნიერები, მწერლები და საზოგადო მოღვაწეები, მათ შორის, ფევი ჩელები, ჰარუნ ჩიქქე, მურათ კასაბი, ქევერ რუში, ზურაბ ბატიანიშვილი, გიორგი ირემაძე და სხვ.

ცოტა ხნის წინ ინეგოლში იმყოფებოდა და კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი როზეტა გუჯეჯიანი, რომელიც კონფერენციის მიმდინარეობასა და მნიშვნელობაზე გვესაუბრა.



როზეტა გუჯეჯიანი

წინ ქალაქის მოსახლეობად, ანუ ურბანული კულტურაც ჩამოაყალიბეს. მათ შორის არიან ცნობილი მწერლები, აქვთ თავიანთი მალაზიები, ავეჯის სახელოსნო-საამქროები და ასე შემდეგ. ამათგან უკვე განათლებამიღებული ფენა მოქცეულია რეგიონალურ მართვაშიც. მათ შორის არიან პარლამენტის დეპუტატები და სხვადასხვა თანამდებობის პირები. ბოლო წლებში, რაც ინეგოლის მერი ეთნიკურად ქართველია — ანუ, ისინი თავისი ქვეყნის ძალიან აქტიური მოქალაქეები არიან.

ინეგოლის ქართველთა ტრადიციული კულტურის კვლევას ხანგრძლივი ისტორია აქვს. მათ შორის, კვლევაში ჩართულია ჩვენი უნივერსიტეტიც. კერძოდ, დაახლოებით, 2010 წლიდან, პირადად ჩემი მონაწილეობით, დაიწყო კვლევა, რაც ასახულია სხვადასხვა სტატიასა და ნაწილობრივ, მონოგრაფიაში. გვაქვს მუდმივი კომუნიკაცია, კულტურული და სოციალური თვალსაზრისით, ასევე მუდმივად ვთანამშრომლობთ იქაურ ქართველებთან.

რამდენიმე წლის წინ შესაძლებელი გახდა, რომ ერთი იქაური მეცნიერი და მწერალი აბდულაჰ თათაროღლუ დაგვეინტერესებინა დედა ენის სწავლების კურსის ჩამოყალიბებით. ამ ადამიანმა საქართველოში, ახალციხის უნივერსიტეტში, ქართული ენის სწავლების კურსი გაიარა, მიიღო შესაბამისი სერტიფიკატი და დაიწყო აქტიური მუშაობა ინეგოლის მერიაში, რათა შესაძლებელი გამხდარიყო თვითონ რაიონს ჩამოეყალიბებინა ქართული ენის შემსწავლელი

კურსები, რაც, საბედნიეროდ, მოხერხდა.

სასიხარულოა, რომ წელს უკვე 80-მდე სტუდენტი/მოსწავლე არის ჩართული დედა ენის შემსწავლელ კურსებში. მასწავლებელი ბატონი აბდულაჰ თათაროღლუ — წარმოშობით მუშაჯირი ქართველების შთამომავალი, ზემო აჭარიდან — ლორჯომის თემიდან, გვარად მიქელაძე. იგი ოსმალური ლიტერატურის მაგისტრი და ასევე მწერალია, დაწერილი აქვს შესანიშნავი წიგნი — მათი სოფლის ისტორიის შესახებ, რომელშიც ასახულია მუშაჯირობის ისტორია. მანვე ოსმალურიდან თურქულ ენაზე თარგმნა აჰმედ მიდჰად ეფენდის შესანიშნავი წიგნი „ქართველი ასულის შურისძიება“, რომელშიც აღწერილია ცარიზმის მიერ ქართლ-კახეთის დაპყრობის ისტორია და ქართველები უაღრესად დადებით კონტექსტში ვართ აღწერილი. შემდგომ ეს წიგნი ითარგმნა ქართულ ენაზეც და ქართველი მკითხველისთვისაც ხელმისაწვდომი გახდა.

აი, ამ ადამიანმა შეძლო ადგილობრივი საზოგადოების მობილიზება. მის ამ ჯგუფში 80-მდე სხვადასხვა ასაკისა და სოციალური ჯგუფის წარმომადგენელი მოსწავლეა გაერთიანებული. მათ შორის არიან ხანდაზმულები, ბავშვები, სკოლის დირექტორები, მწერლები, ბიზნესმენები და დიასპორის ბიძებიც კი, მათ შორის, ეთნიკური თურქებიც, რომლებიც ქართველთა მუღღღღღ არიან.

ამის პარალელურად, იქ 1977 წლიდან არსებობს ერთ-ერთი პირველი ქართული ორგანიზაცია, რომელსაც „ინეგოლის კავკასიური ფოლკლორისა და კულტურის საზოგადოება“ ჰქვია. ეს არის ის საზოგადოება, რომელიც 1977 წლიდან მოყოლებული, დღევანდელი დღის ჩათვლით, კურირებს იქაურ ქართველთა კულტურის გადარჩენას. აქ, დაარსების დღიდან მოყოლებული, არსებობს ქართული ხალხური ცეკვების შემსწავლელი დიდი სტუდია. ასევე, უკვე ორი წელია, არსებობს ხალხური სიმღერების შემსწავლელი ჯგუფიც და, რაც მთავარია, ჩვენი ეროვნული პარლამენტის ბიძგიანთა დანაშაულებით, გაიხსნა ქართული ბიბლიოთეკა. აქ უკვე ტრადიციად იქცა და წელს მეხუთედ გაიმართა

დედა ენისადმი მიძღვნილი კონფერენცია.

— თქვენ როდის ჩართეთ ამ საქმიანობაში?

— კონფერენციის დაარსების დღიდან ჩვენი უნივერსიტეტის სახელით ჩართული ვარ სამუშაოებში. კონფერენცია ტარდება 14 აპრილის მიასლოებულ რომელიმე კვირა დღეს.

უნდა ვთქვა, რომ, 2015 წელს, როდესაც პირველად იმართებოდა კონფერენცია, დიდი მორალური მხარდაჭერა აღმოგვიჩინა საქართველოს საელჩომ. მანამდე მხოლოდ ცეკვა იყო ქართული ეთნიკური იდენტობის გამომხატველი ელემენტი, ამის შემდეგ კი გაჩნდა დედა ენისადმი ინტერესი, დაიწყო დედა ენაზე ლაპარაკის და წერის შესწავლის პროცესი, რაც სიახლეა და ქართველთა იდენტობის კუთხით მნიშვნელოვანი მოვლენა გახლავთ.

— რა თემაზე მუშაობთ და წლებადელი კონფერენცია რით იყო გამორჩეული?

— კონფერენცია წელს მეხუთედ გაიმართა. ერთ-ერთი ამ კონფერენციისათვის მიუძღვნა ჩვენს დიდ წარმატებას, როცა იუნესკომ ქართულ ანბანს მსოფლიო კულტურული მემკვიდრეობის სტატუსი მიანიჭა; მორიგი კონფერენცია თვითონ ინეგოლელთა ტრადიციული კულტურის წარმოჩენას ეხებოდა, შარშანდელი კონფერენცია საქართველოსა და თურქეთს შორის დიპლომატიური ურთიერთობის დამყარების 25 წლისთავს მიეძღვნა და ა.შ. თემატიკა იმის მიხედვით იცვლება, თუ რომელი საიუბილეო თარიღი ახლოვდება.

წლებადელი კონფერენცია საინტერესო იყო იმ კუთხით, რომ ჩართო დედა ენის შემსწავლელი ჯგუფიც, რომლებმაც ერთგვარი პერფორმანსი წარმოადგინეს. მათ დედა ენის სწავლის პარალელურად, დამხმარე სახელმძღვანელოც გამოიყენეს — ნოდარ დუმბაძის „მე ვხედავ მზეს“. მათ ნაშრომში ერთ გვერდზე ქართული ტექსტი იყო, ხოლო მეორეზე — მასწავლებელმა და მოსწავლეებმა თვითონ თარგმნეს თურქულად „მე ვხედავ მზეს“ პნკარედები და წარმოადგინეს ამის მხატვრული კითხვა. ეს ძალიან სასიხარულო ფაქტი იყო, რადგან ადგილობრივი ქართველები ქართულად ალაპარაკდნენ. ჩვენ ისინი დავა-

საჩუქრეთ ქართულ-თურქული ლექსიკონით. მონაწილეებმა წამოაყენეს იდეა, რომ მომავალში მონვეულ იქნას ნოდარ დუმბაძის შვილი, რომელიც ცოცხალი წიგნების პროექტს კურირებს და მას წარუდგინონ უფრო ფართოდ გაშლილი პერფორმანსი. შემდგომ, გაჩნდა მეორე იდეაც, რომ მათ მიერ ნათარგმნი და რედაქტირებული წიგნი — ერთ გვერდზე ქართული და მეორეზე თურქული ტექსტით გამოიცეს, რათა ენის შესწავლის კუთხით შემდგომ თაობებსაც გამოადგეთ. კონფერენცია კონცერტით დასრულდა.

— დაიგეგმა თუ არა მომავალი კონფერენციის თემატიკა, რა გეგმები აქვთ ინეგოლის კონფერენციის ორგანიზატორებს?

— კონფერენცია, ცხადია, გაისადაც გაგრძელდება და მათი მიზანი არის B1 დონემდე მიიყვანონ ქართული ენის სწავლების დონე, რასაც იმედია შეძლებენ.

ისინი, ძირითადად, იმ სახელმძღვანელოებით სარგებლობენ, რომელიც საგარეო საქმეთა სამინისტრომ შექმნა განათლების სამინისტროსთან ერთობლივად და არის დამხმარე სახელმძღვანელო. ამ წიგნებით ადამიანები სწავლობენ ქართულს, როგორც მეორე ენას. თუმცა, როგორც გითხარით, ესენი ძალიან ინდივიდუალურად მიუდგნენ ენის შესწავლას.

ჩემი აზრით, შემდგომი კონფერენცია მიეძღვნება იქ მოღვაწე დიდი ქართველის ვახტანგ მალაყმაძის (ჰაირი ჰაირიოღლუს) ხსოვნას, რადგან მისი საიუბილეო წელი მოდის. იგი იყო ინეგოლელი ქართველი — მრავალმხრივი მოღვაწე, ახმედ მეღვიშის უახლოესი მოსწავლე და მისი საქმის გამგრძელებელი. ამ პიროვნების ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესწავლელი წიგნი მომზადდა და ვვარაუდობთ, რომ კონფერენციებზე მასაც წარუადგენთ. ასევე იქნება დედა ენისადმი მიძღვნილი თემატური მოხსენებებიც, რომელშიც ყოველ წელს სხვადასხვა მეცნიერია ჩართული, მათ შორის, თურქეთიდან და საქართველოდან ჩასული მეცნიერებიც.

ესაუბრა
მაია ტორაძე

მაია ბერიშვილის მოგონებები წიგნად გამოიცა

8-3 გვ-დან

ნის ფარდის“ ნაცვლად იყენებდა. „ეს მამას მოგონებებია, რომელიც პირველად ქვეყნდება. მაია ბერიშვილი საბჭოთა რეჟიმის დროს სამჯერ შემოვიდა საქართველოში ფარულად და ახლა პირველად ვიგებთ, თუ რა ხდებოდა რეალურად საზღვრის გადმოკვეთისას. ამ მოგონებებში ჩანს მისი დიდი სიყვარული ნოე ჟორდანიას მიმართ. სხვათა შორის, მეც პირველად აღმოვაჩინე, რომ მას ლექსიც კი მიუძღვნა. ამ გამოცემაში ეს ლექსიც არის დაბეჭდილი“, — განაცხადა მაია ბერიშვილის ვაჟმა ტიერი ბერიშვილმა.

მაია ბერიშვილის წიგნის პრეზენტაციას საქართველოს პირველი რესპუბლიკის მთავრო-



ტიერი ბერიშვილი

ბის წევრთა შთამომავლებიც ესწრებოდნენ. ნოე ჟორდანიას შვილიშვილი ირენ ციციშვილი მაია ბერიშვილს კარგად არ იცნობდა, თუმცა აღნიშნა, რომ ნებისმიერი წიგნი, რომელიც ემიგრაციის თემატიკაზე იწერება, სახელმწიფო მნიშვნელობისაა.

„ლევლის მამულში ინახება ფრანგულენოვანი წიგნები, რომელიც ემიგრაციის თემაზეა შექმნილი და ქართულად ჯერ არ თარგმნილა. ახლა ვმუშაობთ, რომ მათი თარგმნის პროცესი დაიწყოს. ეს ლიტერატურა მნიშვნელოვანია ემიგრაციაში მყოფი საქართველოს პირველი რესპუბლიკის მთავრობის მოღვაწეობაზე სრული წარმოდგენის შესაქმნელად“, — განაცხადა ირენ ციციშვილმა.

ლევლის მამული საქართველოს მფლობელობაში 2016

წელს გადმოვიდა. დაგეგმილია ლევლის რეკონსტრუქცია და ქართული კულტურის ცენტრის გახსნა. ამის შესახებ მაია ბერიშვილის წიგნის პრეზენტაციაზე საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს დიასპორებთან ურთიერთობის დეპარტამენტის დირექტორის მოადგილემ განაცხადა: „საქართველოს მთავრობას განზრახული აქვს ამ ტერიტორიაზე ისტორიულ-კულტურული ცენტრი დააარსოს, რომელიც საქართველოსა და საფრანგეთს შორის კულტურული ურთიერთობების გაღრმავებას მოემსახურება. მოეწეობა მემორიალური მუზეუმი და საექსპოზიციო დარბაზებიც“, — აღნიშნა ვარლამ ბაძალაძემ.

მაია ბერიშვილის წიგნის „რკინის რიდეს“ პრეზენტაცია 23 მაისს გაიმართა.

ამერიკისგზოცნობის მე-20 ყოველწლიური საერთაშორისო სამეცნიერო ჯორჯიანული

თამარ ღალიანი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა 23 მაისს ამერიკისმცოდნეობის მე-20 ყოველწლიურ საერთაშორისო კონფერენციის გახსნას უმასპინძლა, რომელიც ამერიკელი ასტრონავტების ნილ არმსტრონგის და ბაზ ოლდრინის მთვარეზე გადასვლის 50 წლისთავის აღსანიშნავად გაიმართა. თსუ-ის ამერიკისმცოდნეობის ინსტიტუტისა და ამერიკის შესწავლის საქართველოს ასოციაციის მიერ ორგანიზებული კონფერენცია ქართულ-ამერიკულ ურთიერთობებს მიეძღვნა, რომელშიც 130 მომხსენებელი მონაწილეობდა. კონფერენციაზე წარმოდგენილი მოხსენებები საინტერესო და მრავალფეროვანი იყო, ისინი ეხებოდა ამერიკის პოლიტიკურ მოწყობას, აშშ-საქართველოს ურთიერთობებს, ამერიკის საგარეო პოლიტიკას, განათლებას, მეცნიერებას, კულტურას, სოციალურ საკითხებს, ეკონომიკას, მედიას, მედიცინას, არქიტექტურას და სხვა. ღონისძიებას თსუ-ის რექტორი გიორგი შარვაშიძე, რექტორის მოადგილე ნინო ოკრიბელაშვილი, საქართველოში აშშ ელჩის მოადგილის მოვალეობის შემსრულებელი ჯეფ რენო, თსუ-ის ამერიკისმცოდნეობის ინსტიტუტის ხელმძღვანელი ვასილ კაჭარავა, პროფესორ-მასწავლებლები და სტუდენტები ესწრებოდნენ.

ღონისძიების სტუმრებს რექტორი გიორგი შარვაშიძე მიესალმა, რომელმაც თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ამერიკისმცოდნეობის მიმართულუბასა და საქართველოსა და აშშ-ს შორის არსებულ დიპლომატიურ ურთიერთობაზე, ასევე აკადემიური გაცვლითი პროგრამების მნიშვნელობაზე ისაუბრა. „ამერიკისმცოდნეობის მიმართულუბა პირველად თბილისის სახელმწიფო უნი-

ვერსიტეტში გაიხსნა და დღემდე სერიოზულ სამეცნიერო და სასწავლო კერას წარმოადგენს. უამრავი მნიშვნელოვანი კვლევა, წიგნი თუ სამეცნიერო ნაშრომი მზადდება ამ მიმართულებაზე, რაშიც ახალგაზრდა მეცნიერებიც იღებენ აქტიურ მონაწილეობას. მჭიდრო და ნაყოფიერი ურთიერთობა გვაქვს სხვადასხვა მიმართულებით ჩვენს სტრატეგიულ პარტნიორთან. მათ შორის აღსანიშნავია სანდიგოს უნივერსიტეტი, სადაც დიდი ნაწილი სტუდენტებისა თსუ-ის სტუდენტია. მნიშვნელოვანია ასევე ის, რომ თსუ-ში წელს პირველად მოხდება საინჟინრო პროგრამების აკრედიტაცია ამერიკის მიერ. ამერიკის ქიმიკოსთა ასოციაციამ მიიღო უპრეცედენტო გადაწყვეტილება — თავის წარმომადგენლობას თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ხსნის. ის აკრედიტაციას გაუწევს ხარისხს ბიოქიმიის სწავლების მიმართულებით. იმედი გვაქვს, რომ ასეთ მჭიდრო ურთიერთობებს ამერიკის სხვა უნივერსიტეტებთანაც დავამყარებთ“, — განაცხადა გიორგი შარვაშიძემ.

ღონისძიებას თსუ-ის პროფესორი, ამერიკისმცოდნეობის ინსტიტუტის ხელმძღვანელი ვასილ კაჭარავა უძღვებოდა. მისალმების შემდეგ მან იმ დღის შესანიშნავ მოვლენაზე ისაუბრა, რომელსაც ეს კონფერენცია მიეძღვნა და წინადადებას მიმართა თბილისისა და ქუთაისის მერიას, რომელიმე ქუჩისთვის იმ კოსმონავტების სახელი ეწოდებინათ, ვინც კაცობრიობის ისტორიაში პირველად დადგა ფეხი მთვარეზე. ამის შემდეგ პროფესორმა ამერიკისმცოდნეობის ინსტიტუტის წლიური ანგარიში წარმოადგინა, სადაც დაწვრილებით ისაუბრა ინსტიტუტის სამეცნიერო საქმიანობასა და მიღწევებზე. მისი თქმით: „ამერიკისმცოდნეობის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტის მთავარ მიღწევად მიგვაჩნია ამერიკის ისტორი-



ვასილ კაჭარავა




ჯეფ რენო

ის სახელმძღვანელოები, ასევე კრებულები და ქრესტომათია ამერიკის ისტორიის შემსწავლელთა თუ მოყვარულთათვის“. მან კონფერენციის მონაწილეებს ინსტიტუტის უახლესი გეგმები და პერსპექტივები გააცნო და იმ წიგნებზეც ისაუბრა, რომლის გამოცემასაც უახლოეს პერიოდში გეგმავენ. ამერიკისმცოდნეობის მე-20 ყოველწლიური საერთაშორისო კონფერენციის პარტნიორია საქართველოში აშშ საელჩო. ელჩის მოადგილის მოვალეობის შემსრულებლის ჯეფ რენოს თქმით, კონფერენცია ქართველებს ამერიკის შვერთებული შტატების უკეთ გაცნობაში ეხმარება. „მოხარული ვარ, რომ დღევანდე-

ლი ღონისძიების ნაწილი ვართ. აღსანიშნავია, რომ ეს უკვე მეოცედ ხდება. მთვარეზე დასვებიდან 50 წელი განსაკუთრებული თარიღია. კონფერენციაზე ძალიან საინტერესო თემებია წარმოდგენილი“, — აღნიშნა ჯეფ რენომ. მან მაღლობა გადაუხადა თსუ-ის რექტორს გიორგი შარვაშიძეს, კონფერენციის ორგანიზატორებს და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პუბლიცისტურ მენეჯერებთან და ინსტიტუტის ხელმძღვანელებთან ასეთი მასშტაბური კონფერენციის ორგანიზებისათვის.

თსუ-ის ასოცირებული პროფესორის ელენე მექმარიაშვილის ინფორმაციით, კონფერენ-



„ქართული ხალხური პროზა – ცხოველთა ეპოსის“ I ტომის პრეზენტაცია

შურთხია ბაროშვილი

სლბათ ცოტამ თუ იცის, რომ „თხა და ვენახის“, „რწყილი და ჭიანჭველას“ სრულიად განსხვავებული ვარიანტებიც არსებობს, რომლებიც დღემდე არქივებში ინახებოდა. მაგალითად, თურმე, თავდაპირველად, იყო „ტილი და ჭიანჭველას“, შემდეგ „კუტკალია და ჭიანჭველას“ ზღაპრები, რომელიც მოგვიანებით იაკობ გოგებაშვილმა შეცვალა. ერთ-ერთ ვარიანტში ჭიანჭველამ იგივე გზა გაიარა, მაგრამ კუტკალიას ცოცხალს ვეღარ მოუსწრო... ამგვარი თქმულებების, გადმოცემებისა და მითების ვარიანტები ქართველი მკითხველისთვის უცნობია. ქართული ხალხური პროზის მრავალტომეულის პირველი წიგნი ამ ვაკუუმის შევსების მცდელობაა.

„ქართული ხალხური პროზა – ცხოველთა ეპოსის“ I ტომის პრეზენტაცია, რომელიც შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტში მომზადდა, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში გაიმართა. როგორც პრეზენტაციაზე ითქვა, ცხოველთა ეპოსისადმი მიძღვნი-

ლი ცალკე კრებული საქართველოში დღემდე არ გამოცემულა, თუმცა მისი ნიმუშები პერიოდულად იბეჭდებოდა ხალხური ზღაპრების სხვა ქვეყნებში. ერთად. ბ. ბებურიშვილის მიერ შედგენილი ქართული ზღაპრების პირველი კრებული პეტერბურგში რუსულ ენაზე დაიბეჭდა 1884-1887 წლებში. ამას მოჰყვა უკვე თბილისში 1890 წელს ვლადიმერ აღნიაშვილის მიერ გამოცემული „ხალხური ზღაპრები“. ამ კრებულებში სხვა ზღაპრებთან ერთად შესულია ცხოველთა ზღაპრები. XIX საუკუნის 50-იან წლებში, ასევე, დიდი ყურადღება ექცეოდა ხალხური ზღაპრების გამოცემას. იმდროინდელი ქართული პრესის ფურცლებზე იბეჭდებოდა ხალხური ლექსები, თქმულებები, ლექსები და ზეპირსიტყვიერების სხვა ჟანრების ნიმუშები.

ხალხური პროზის პირველი ტომი შეადგინა და ვარიანტები დაურთო — შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის ფოლკლორის განყოფილების ხელმძღვანელმა, პროფესორმა რუსუდან ჩოლოყაშვილმა. მისი ინფორმაციით, წინამდებარე ტომში შესულია ქართული ხალხური ცხოველ-



რუსუდან ჩოლოყაშვილი



რუსუდან ჩოლოყაშვილი

თა ეპოსის მრავალფეროვანი ნიმუშები. ისინი განსხვავდებიან ერთმანეთისაგან როგორც სიუჟეტურად, ასევე სტრუქტურულად. „ცხოველთა ეპოსის“ უძველესია. ხალხური პროზის 20-ტომეულის მომზადება დიდი ხანია დაწყებულია. პროფესორ მხიელ ჩიქოვანს ოცნება ჰქონდა — გაეგრძელებინა პროზის გამოცემა, მაგრამ არ დასცალდა. სასამართლო, რომ 40 წლის შემდეგ ეს საქმე განახლდა. აღსანიშნავია, რომ კრებულში შესულია სხვადასხვა ჟანრის ნაწარმოებები: ზღაპარი, ლეგენდა, მითი და სხვა — ეს წიგნი იმდენად

არის ფასეული, რამდენადაც სხვადასხვა არქივებში მოძიებული მასალა თავმოყრილი. აქ არის მათი სრულიად განსხვავებული ვარიანტებიც. მაღლობა გვინდა გადავუხადოთ გამოცემლობა „აკადემიური წიგნის“ ხელმძღვანელს მაია ლამბაშიძეს, რომელმაც ამ წიგნის გამოცემა ითავა“, — აღნიშნა რუსუდან ჩოლოყაშვილმა.

„ფოლკლორით დიდი ხანია გატაცებული ვარ, „თხა და ვენახის“ ვერსიებმა დამაინტერესა და ლიტერატურის ინსტიტუტს მივაკითხე, სწორედ იქ გავიცანი რუსუდან ჩოლოყაშვილი,

ციის ფორმატი გულისხმობდა სხვადასხვა დარგობრივ სექციაში მუშაობასა და სადისკუსიო გარემოს შექმნას. კონფერენციაში ჩართული იყო ამერიკისმცოდნეობის ყველა მიმართულების სპეციალისტი საქართველოს სხვადასხვა უმაღლესი სასწავლებლიდან.

„ამერიკისმცოდნეობის ინსტიტუტი ყველაფერს აკეთებს სტუდენტების ცოდნის ამაღლებასა და გაფართოებისთვის. ვამაყობ, რომ ამერიკისმცოდნეობის მიმართულებაზე ახალგაზრდა მეცნიერების ღირსეული ცვალოდის. მათი მიღწევები მართლაც შთაბეჭდილია. ისინი პრაქტიკულად გზას უკვალავენ მომავალ თაობებს სრულიად ახალ მიმართულებებში, რომელიც ჩვენ აქამდე არ გვქონია. ყველა ჩვენი დოქტორანტი თსუ-ის ნათელი მომავალია“, — აღნიშნა პროფესორმა ელენე მექმარიაშვილმა.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ამერიკისმცოდნეობის სტუდენტთა სამეცნიერო წრის თავმჯდომარის მარიამ ხატიანიშვილის აზრით, „კონფერენციის მიზანია ამერიკისმცოდნეობის საკითხებით დაინტერესებული მკვლევარების, პროფესორების და სტუდენტების ნახალისება. ჩემთვის, როგორც ახალგაზრდა მკვლევარისთვის და ამერიკის საკითხებით დაინტერესებული ადამიანისთვის, ძალიან მნიშვნელოვანია ამ ღონისძიებაში მონაწილეობა“.

ამერიკისმცოდნეობის საერთაშორისო კონფერენცია 3 დღის განმავლობაში გაგრძელდა. გამოყოფილი იყო 12 სექცია და მონაწილეების რაოდენობა 130-ს აჭარბებდა.

ამერიკისმცოდნეობის მე-20 ყოველწლიური საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია წარმატებით დასრულდა. როგორც კონფერენციაზე აღნიშნეს, გამორჩეული მოხსენებები დაიბეჭდება პერიოდულ გამოცემაში „ამერიკის შესწავლის საკითხები“.



ოსური ენის დღე თსუ-ში

ჟურნალი ბაროზილი

ოსური ენის დღე, ტრადიციულად, ყოველ წელს მაისში აღინიშნება. 24 მაისს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პუბლიკისტიკის განყოფილებაში ფაკულტეტის კავკასიოლოგიის ინსტიტუტის ორგანიზებით ოსური ენის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება გაიმართა. შეხვედრაზე განიხილეს საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო სისტემაში ოსური ენის სწავლებისა და კვლევის, ოსური ენის ფუნქციონირების, ასევე ოსური ფოლკლორისა და მითოეპიკური სამყაროს შესწავლის პრობლემები. ღონისძიებაზე ისაუბრეს აღნიშნულ საკითხთა სამეცნიერო საფუძვლებზე და მათი გადაჭრის გზებზე, ოსური ენისა და კულტურის სწავლების როლზე ქართულ-ოსურ ურთიერთობათა კონტექსტში, სახელმწიფო და სამეცნიერო ურთიერთობების აღდგენასა და გაღრმავებაზე, ერთობლივი სამეცნიერო პროექტების დაგეგმვასა და განხორციელებაზე. ოსური ენის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიებაში მონაწილეობა მიიღეს პროფესორებმა, სტუდენტებმა, საზოგადოებრივი ინსტიტუტების წარმომადგენლებმა.



ოსური ენის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება შესავალი სიტყვით გახსნა თსუსი კავკასიოლოგიის ინსტიტუტის ხელმძღვანელმა, პროფესორმა ცირა ბარამიძემ. მისი ინფორმაციით, კავკასიოლოგიის ინსტიტუტმა 2007 წელს, მასინდელი რექტორის, გიორგი ხუბუას მხარდაჭერით, ინსტიტუციური მოწყობის საფუძველზე,

შეძლო და განახორციელა რამდენიმე ახალი პროგრამა, რაც იმ დროს გარდაუვალ აუცილებლობას წარმოადგენდა. დღეს ოსოლოგია ამზადებს სპეციალისტებს ფართო კომპეტენციით — კავკასიოლოგია და ვიწრო კომპეტენციით — ოსოლოგია. იკითხება ყველა საგანი, რომელიც ოსი ხალხის ისტორიას, ეთნოლოგიას, კულტურას, ფოლკლორს, ლიტერატურას შეისწავლის. ამ თვალსაზრისით, ეს პროგრამა ინოვაციური და მოცულობითია. „ახალი მიდგომა გამოწვეული იყო იმით, რომ კავკასიოლოგია, როგორც დარგი, ახალ ეტაპზე გადავიდა და იბერიულ-კავკასიოლოგიურ ენათმეცნიერების ფარგლებს გაცდა, რომელიც, ტრადიციულად, ჩვენს უნივერსიტეტში 1933 წლიდან არსებობდა. ჩვენთვის, როგორც ლინგვისტებისთვის და ისტორიკოსებისათვის, მნიშვნელოვანი იყო შეგვესწავლა ყველა ენა, ეთნოსი, კულტურა, რომელიც წარმოდგენილია კავკასიურ ცივილიზაციაში კომპლექსურად. მანამდე ამ მიმართულებით დიდი ვაკუუმი არსებობდა ოსური ენის, ოსი ხალხის ისტორიის და კულტურის შესწავლის მიმართულებითაც. ჩვენი აზრით, ეს იყო პროგრესული ნაბიჯი, რომელიც ინსტიტუტმა

წარმატებით განახორციელა, რასაც დიდი მნიშვნელობა აქვს როგორც სახელმწიფოებრივი, ასევე, სამეცნიერო თვალსაზრისით. ამ სფეროში ვაკუუმის ამოვსებას, ბუნებრივად, ესაჭიროებოდა სპეციალისტები და ახალი საგნების შეთავაზება. პროგრამა სრულ მოცულობას და კრედიტებს შეიცავს, ამიტომ შემოვიტანეთ ყველა ის საგანი, რომელიც კავკასიოლოგიის კომპეტენციასთან ერთად ესაჭიროებოდა ვიწრო სპეციალობას, უშუალოდ ოსური ენის და ოსი ხალხის ისტორიისა და კულტურის მცოდნე სპეციალისტს, ეს საგნები სწორედ ამ მიმართულებით შეიქმნა“, — აღნიშნა ცირა ბარამიძემ. ცირა ბარამიძის თქმით, საქართველო, რეალურად, საერთაშორისო განვითარებული კავკასიოლოგიური ცენტრი და ამასთან, ის ადგილია, სადაც კავკასიოლოგია, როგორც მიმართულება, წარმოადგენს განვითარებულ, პროგრესულ დარგს როგორც სამეცნიერო, ასევე სახელმწიფო მიმართულებით, ამიტომ ამ პროგრამის შექმნა ამ მხრივაც მნიშვნელოვანი იყო. „ჩვენი ისტორია, ეთნოკულტურა, ყოფა დაკავშირებულია აბორიგენული იბერიულ-კავკასიურ მოდემის ხალხების ისტორიასთან, გადაჯაჭვულია კავ-

კასიის ისტორიის მანძილზე კავკასიაში დამკვიდრებულ უკვე კავკასიურ, ინდოევროპულ, თურქულენოვან და სხვა ენებთან. ოსური ენის, ოსი ხალხის ადგილი ამ მიმართულებით განსაკუთრებულია. ჩვენთვის, მეცნიერებისთვის გადაუდებელი ამოცანაა — შევისწავლოთ და გავაგრძელოთ ის, რაც დაწყებული იყო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში გიორგი ახვლედიანის მიერ ოსური ენის შესწავლასთან დაკავშირებით. შორსმჭვრეტელოვანი ის, რომ სპეციალისტის მოზადებას ხანგრძლივი პერიოდით სჭირდება, ამიტომ ჩვენ მოთმინებით ვახორციელებთ ამ პროგრამებს, რათა გარკვეული დროის შემდგომ საქართველოს, როგორც კავკასიოლოგიის აღიარებულ ცენტრს, ჰყავდეს ისეთი სპეციალისტები, რომლებიც შეძლებენ ჩვენს წინაშე არსებული არა მარტო სამეცნიერო პრობლემების გადაჭრას, არამედ სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ნაბიჯების გადადგმას არსებული პრობლემების მოსაგვარებლად. სწორედ მეცნიერს შეუძლია განსაზღვროს — რა იყო წარსულში, გააანალიზოს თანამედროვეობა და განსჭვრიტოს მომავალი — რომ კავკასიის ერთიანობის, კულტურულ-ცივილიზაციური სივრცის შესწავლა, რომელიმე კონტექსტის ამოგდება, შეუძლებელია“, — აღნიშნა ცირა ბარამიძემ.

სტუდენტური სამეცნიერო ჯონჯორენცია

ნაბო ობოლაძე

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკამ საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებიდან 101 წლის იუბილზე ყოველწლიური სტუდენტური სამეცნიერო კონფერენცია გამართა. კონფერენციას ორგანიზება ბიბლიოთეკის საქართველოს დამოუკიდებელი რესპუბლიკის შემსწავლელმა ცენტრმა გაუწია. როგორც ორგანიზატორები აცხადებენ, მონაწილეთა რაოდენობა ყოველ წელს იზრდება. წელს კონფერენცია სახელწოდებით — „საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა (1918-1921 წწ.): პიროვნებები, მოვლენები, რეფორმები, მიღწევები და შეცდომები“ უკვე მეოთხედ ჩატარდა. „1918-1921 წლებში ჩვენმა ქვეყანამ მოიპოვა დამოუკიდებლობა და სწრაფი ტემპით იწყო სახელმწიფოს მშენებლობა-განვითარება, თუმცა საბჭოთა პერიოდში საბჭოთა ისტორიოგრაფიის მიერ ცალსახად უარყოფით კონტექსტში ან საერთოდ არ იყო ამ თემამდე საუბარი. ბოლო წლების განმავლობაში მოგვეცა შესაძლებლობა, რომ ობიექტურად შევისწავლოთ ის ამაღლებული სამი წელი, როდესაც ჩვენ ვქმნიდით ჩვენს დამოუკიდებელ სახელმწიფოს. მნიშვნელოვანი და სასიხარულოა, რომ თსუ-ის სტუდენტები უფრო და უფრო მეტ ინტერესს იჩენენ ამ პერიოდის მიმართ, იკვლევენ მეცნიერულად და ცდილობენ იყვნენ ობიექტურები“, — განაცხადა თსუ-ის ბიბლიოთეკის დირექტორმა ზურაბ გაიპარაშვილმა.



„ჩვენი ცენტრის მიზანი იყო სტუდენტებში საქართველოს პირველი დამოუკიდებელი რესპუბლიკის პერიოდის მიმართ ინტერესი გაგვეღრმავებინა. ვფიქრობ, ეს მისია შესრულდა. საკმაოდ საინტერესო მოხსენებები წარმოადგინეს. ჩვენ სხვადასხვა დროს თემატურ კონფერენციებსაც ვმართავთ ამა თუ იმ კონკრეტულ თარიღთან დაკავშირებით, იქნება ეს დამოუკიდებელი კრების არჩევნები, ქალთა უფლებები თუ საიუბილეო თარიღი“, — აღნიშნა თსუ-ის ბიბლიოთეკის საქართველოს დამოუკიდებელი რესპუბლიკის შემსწავლელი ცენტრის ხელმძღვანელმა ირაკლი ირემიაძემ. კონფერენციაზე სტუდენტებმა 13 საუკეთესო მოხსენება წარმოადგინეს, მათ შორის: ნოე ჟორდანიას პოლიტიკური მსოფლმხედველობის, საქართველოს პირველ რესპუბლიკაში მართლმსაჯულების სისტემის, დემოკრატიული საქართველოს საგარეო პოლიტიკის, ქართულ-

გერმანული ურთიერთობების, პრესაში ფემინისტური ნარატივების, ქალთა უფლებების შესახებ და ა.შ. „ჩემი მოხსენება გვანცა შავიძესთან ერთად წარმოვადგინე. თემა გახლდათ „ქალთა ტრანსფორმაცია საქართველოს პირველი რესპუბლიკიდან საბჭოთა რესპუბლიკამდე“. ეს საკითხი თანამედროვე ეპოქაშიც ძალიან მნიშვნელოვანია. ჩვენ განვიხილეთ ქალთა როლი საზოგადოებაში და მათი უფლება-მოვალეობები. გავანალიზეთ, ზოგადად, საქართველოს მოქალაქეების თანასწორობის საკითხები. ამ თემაზე მუშაობა ძალიან საინტერესო და ნაყოფიერი იყო“, — გვითხრა იურიდიული ფაკულტეტის კურსის სტუდენტმა ნანა მახარაძემ. სტუდენტების კვლევების პრეზენტაციას საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის პირველი თავმჯდომარის ნოე რამიშვილის შვილიშვილი მიშელ რამიშვილიც დაესწრო.

„თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი და საქართველოს პირველი რესპუბლიკა ფართო თემაა. ამ საკითხით სტუდენტების დასაინტერესებლად ჩვენ საკმაოდ ბევრი ვიმუშავეთ. მოხარული ვარ, რადგან შედეგი სახეზეა. აღსანიშნავია, რომ ამ სტუდენტური სამეცნიერო კონფერენციის ორგანიზატორები ნამდვილად ბევრს აკეთებენ საქართველოს პირველი რესპუბლიკის პერიოდის გამოსაკვლევად“, — განაცხადა მიშელ რამიშვილმა. კონფერენცია „საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა (1918-1921 წწ.): პიროვნებები, მოვლენები, რეფორმები, მიღწევები და შეცდომები“ 28 მაისს გაიმართა. თსუ-ის ბიბლიოთეკის დირექტორის ზურაბ გაიპარაშვილის ინფორმაციით, დაგეგმილია ელექტრონული სტუდენტური სამეცნიერო ჟურნალის გამოცემაც, რომელშიც აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებული სტუდენტური კვლევები გამოქვეყნდება.

ორენოვანი ალბომის – „ალბომობრივი თვითმართვალთობის არჩევნები საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში“ პრეზენტაცია

გა-6 გვ-და

არსებული ისტორიული წყაროების დამუშავებასა და გამოცემაში. ამით შექმნილთ საზოგადოებას გააცნოთ და თითოეულ მოქალაქეს საშუალება მიეცეთ, იხილოს ის უნიკალური გამოცემა, რომელიც საქართველომ დამოუკიდებლობის პირველივე დღეებში დემოკრატიული


საარჩევნო კულტურის ჩამოყალიბების კუთხით მიიღო. გამოცემაში წარმოდგენილი მასალებიდან მკითხველს საშუალება ექვსეა გაეცნოს იმდროინდელი საქართველოს რეალობას და თავად შეაფასოს, თუ რამდენად დიდი იყო მასინდელი საქართველოს მზობა და მისწრაფება დემოკრატიული განვითარებისაკენ და რაოდენ მნიშვნელოვანი დემოკრატიული პრინციპები ედო საფუძვლად პირველ საარჩევნო პროცესებს“, — აღნიშნა თამარ ჟვანიამ.

პრეზენტაციაზე მისასალმებელი სიტყვით გამოვიდა საარჩევნო სისტემების საერთაშორისო ფონდის (IFES) წარმომადგენელი ქეთევან მაისურაძე, რომელმაც მადლობა გადაუხადა ალბომის ავტორ-შემდგენლებს: ირაკლი ირემიაძეს და სალომე ჭანტურიძეს, ასევე მონწილე სტუმრებს.

ქართულ-ინგლისურენოვანი ალბომის ავტორ-შემდგენლები არიან: ირაკლი ირემიაძე და სალომე ჭანტურიძე; მთარგმნელი: ქრისტინა თოლორდავა, რედაქტორები: ზურაბ გაიპარაშვილი (ქართული ტექსტი), დავით ლონდაძე და ლელა ჯავახიშვილი (ინგლისური ტექსტი); დიზაინერი: ლევან ნოზაძე.



ცოცხალი ხლასიოსი



გივი მარგველაშვილი, ირაკლი ბრაჭული, ანასტასია ზაქარაძე

ფილოსოფოსი გივი მარგველაშვილი დაიბადა 1927 წელს ბერლინში, ქართველი ემიგრანტის, ტიტე მარგველაშვილისა და მარიამ ხეჩინაშვილის ოჯახში. ისტორიკოსი, ფილოსოფიის დოქტორი ტიტე მარგველაშვილი ემიგრაციაში სათავეში ედგა ბერლინის ქართველთა სათვისტომოს; აქტიურად მონაწილეობდა საბჭოთა ოკუპაციისაგან საქართველოს გათავისუფლებისათვის მოძრაობაში. 1946 წელს მამა-შვილი საბჭოთა ჩეკისტებმა დასავლეთ ბერლინიდან გაიტაცეს ოკუპაციის საბჭოთა ზონაში. მამა თბილისში გადმოაფრინეს და იმავე წელს დახვრიტეს. შვილი საქებენჰაუზენის საკონცენტრაციო ბანაკში ჰყავდათ გამომწყვდეული თითქმის ორი წელიწადი. 1948 წელს მას ათავისუფლებენ და თბილისში გადმოჰყავთ. საქართველოში გაეცნო ქართულ ლიტერატურას — „ვეფხისტყაოსანს“, ვაჟა-ფშაველას პოემებს, გალაკტიონის ლირიკას, რომლის პოეტიკას მოგვიანებით, 1973 წელს, მიუძღვნა შესანიშნავი ნაშრომი. ქართული ლიტერატურა გერმანულ ლიტერატურასა და ფილოსოფიაზე აღზრდილი მოაზროვნისათვის ნამდვილი აღმოჩენა და ახალი გამოცხადების ტოლფასი იყო. როგორც თვითონ ამბობს: „ვაჟა რომ წავიკითხე, ნამდვილად გავგიჟდი“. თვითონ თხზავს ვაჟა-ფშაველას „ალუდა ქეთელაურის“ ინტერტექსტს, ვრცელ გერმანულ რომანს, რომელსაც უწოდა „მუცალი“. 1971 წლიდან ბატონი გივი იწყებს მუშაობას საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ფილოსოფიის ინსტიტუტში, სადაც ის პერიოდულად კითხულობდა მოხსენებებს გერმანული ფენომენოლოგიისა და ექსისტენციალიზმის შესახებ. იმ დროს თბილისში გავრცელებული იყო ხმები ფილოსოფიის ინსტიტუტის ერთ უცნაური მეცნიერ-თანამშრომლის შესახებ, რომლის თითოეული წლიური ნაშრომი, თითოეული მოხსენება სადოქტორო დისერტაციის ტოლფასი იყო. ბატონი გივი ქმნიდა და აქვეყნებდა ნაშრომებს ქართულ და რუსულ ენებზე, ხოლო გერმანულ ენაზე დაწერილი ფილოსოფიური ტრაქტატები და რომანები მხოლოდ მის პირად არქივში ინახებოდა. არაოფიციალურ საუბრებში ქართველი კოლეგა-ფილოსოფოსები მის შრომებს ფენომენოლოგიურ ტრადიციას მიაკუთვნებდნენ. ის მართლაც არის ქართული ფილოსოფიური აზრის სამყაროში აღნიშნული ტრადიციის ერთ-ერთი შემომტანი და გამგრძელებელი ზურგს კავაბაძესთან და მერაბ მამარდაშვილთან ერთად. გივი მარგველაშვილი ცხოვრობდა შინაგან ემიგრაციაში, როგორც მარტოსული, საკუთარ ტექსტებში ჩაძირული მოაზროვნე, რომელიც გერმანიაში ქართველი ემიგრანტი იყო, ხოლო საქართველოში გერმანული ემიგრანტი. თავისი რომანი „კაპიტანი ვაკუში“ გააცნო იმჟამად საქართველოში სტუმრად მყოფ დიდ გერმანელ მწერალს, ნობელის პრემიის ლაურეატს ჰაინრიხ ბიოლს, რომელმაც ეს რომანი მსოფლიო ლიტერატურის მოვლენად მიიჩნია და შესთავაზა ხელნაწერი გაეტანებინა გერმანიაში გამოსაქვეყნებლად. იმჟამინდელი პოლიტიკური რეჟიმის პირობებში, „შინაგან ემიგრაციაში“ მცხოვრები „საეჭვო“ ავტორისაგან ასეთი საქციელი შეფასდებოდა, როგორც სახელმწიფო დალაბტი. მარგველაშვილმა შემოთავაზებზე უარი თქვა.

1992 წელს, საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, გივი მარგველაშვილი დაბრუნდა გერმანიაში, მიიღო გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მოქალაქეობა და დამკვიდრდა ბერლინში. აქ გამოქვეყნდა მისი გერმანულ ენაზე შექმნილი რომანები, პიესები, მოთხრობები, შრომები, ესეები და მრავალრიცხოვანი მინიატურები. მარგველაშვილი თხუთმეტი წელიწადი მარგველაშვილი ფილოსოფიური ტრაქტატის ავტორია. გერმანიაში მიიღო მან სხვადასხვა პრესტიჟული ჯილდოები და ლიტერატურული პრემიები. მიწვეული იყო ამერიკის შეერთებულ შტატებში და სხვა ქვეყნებში საჯარო ლექციების ჩასატარებლად. 2012 წელს გოეთეს ინსტიტუტმა, გერმანიის სახალხო უნივერსიტეტების ასოციაციასთან ერთად დააწესა გივი მარგველაშვილის სახელობის ყოველწლიური პრემია, რომელიც გაიცემა ქართულ-გერმანულ კულტურულ ურთიერთობაში შეტანილი წვლილისათვის.

გივი მარგველაშვილის შემოქმედების მთავარი თემაა „ინტერტექსტი“ — ყოფიერება, როგორც ტექსტი, ტექსტში ცხოვრება; წიგნის შიდა და გარე სამყარო. წიგნის შიდა სამყაროს ფიგურანტია პერსონაჟი, ხოლო წიგნის გარე სამყარო — პიროვნება (პერსონა). პირველი მათგანი თემატიზდება მხატვრულ ტექსტებში, უფრო სწორედ, მეტატექსტებში; ხოლო მეორე — „პერსონა“ (ჰაიდგერის ტერმინით „ექსისტენცია“) ფილოსოფიურ რეფლექსიაში. ეს ორი სფერო — ადამიანის ყოფიერება და ტექსტში ცხოვრება (ფილოსოფია და ლიტერატურა) — გივი მარგველაშვილის შემოქმედებაში უშუალო ურთიერთკავშირი იმყოფებინ, ისინი ერთმანეთს კითხულობენ და ერთმანეთს განმარტავენ. აქაა მისი შემოქმედების ათვის ნერტილი. თავის ნაწარმოებებს „პოსტ პოსტმოდერნისტულად“ თვლის. „ავტორის სიკვდილის“ შემდეგ თვითამოძრავებული პოსტმოდერნული ტექსტები და მათი პერსონაჟები ჩემთან უფრო დამოუკიდებელი ხდებიანო. წიგნის გმირები იქცევიან სხვაგვარად, ვიდრე უნდა მოიქცნენ სიუჟეტის მიხედვით. ხდება წიგნში მცხოვრებთა გათავისუფლება სიუჟეტის ტირანიისაგან. ვაჟა-ფშაველას „ალუდა ქეთელაურის“ პოემის დასაწყისშივე ალუდა კლავს მუცალს, თუმცა „მუცალს არა სნადს სიკვდილი“ და კვი მარგველაშვილის „მუცალში“ ის არც ვიკრავს, აგრძელებს ცხოვრებას. ამგვარად გამოხატულია ავტორის კონცეფცია-მონოდება: „შეაჩერეთ სიკვდილი ტექსტებში!“ რომანში „დიდი კორექტურა“ მე-20 საუკუნიდან უკუღმა უნდა ვიპოვოთ პირველ საუკუნემდე, რათა მივუსწროთ ჰეროდოტე მკვლევარს ყრმათა ფლეთას იუდეაში, რათა „კორექტირებული“ იქნეს სიუჟეტის სისასტიკე.

„მარადიული ემიგრანტი“ გივი მარგველაშვილი 2011 წელს ბრუნდება, როგორც თვითონ ამბობს, „მამის სამშობლოში“, „მამულში“ — საქართველოში, ცხოვრობს თბილისში. მისი თხზულებების დიდი ნაწილი ჯერ კიდევ გამოუქვეყნებელია. ავტორი ამჟამად 91 წლისაა. იგი ყოველდღიურად შრომობს საკუთარ პანია ბინაში თავისი შემოქმედების შემაჯამებელი დიდი ტექსტის სრულყოფისა და გამოსაცემად მომზადებისათვის.

მარტინ ჰაიდგერისათვის ადამიანური ყოფიერების მოდელია ძველგერმანული გლეხის სახლი და „სახლში ყოფნა“ (zu Hause sein). მასში რამდენიმე განსხვავებული, მაგრამ ტოლძალგისაგან სივრცე, ნახანაგი შენოსანორებული: ფართი და დამრეცი ქერი (მინიერება), ჯვარცმა (ზეციური), სააკვენ და საკუბოვე ალაგნი (წუთისოფლობა,

დროებითობა). ყოველი პოლუსი თანაბრად მნიშვნელოვანი და ცენტრალურია, არც ერთს აქვს უპირატესობა. ეს იმას ნიშნავს, რომ სახლს არ გააჩნია გამაერთიანებელი ცენტრი. გივი მარგველაშვილი ამაში ხედავს ჰაიდგერის მოძღვრების უკმარისობას. დრონი მეფობენ; დროულად ხდება სიმძიმის ცენტრის გადაწვევება ხან აკვანზე (შობაზე), ხანაც კუბოზე (სიკვდილი), მაგრამ ეს არასდროსაა ხანგრძლივი და ხანიერი. ყოფიერების ფუძე-ცენტრი ყოველთვის (მარადიულად) კვლავ ბრუნდება სახლის სასაძილო მაგიდასთან, საერთო სერობაზე, ტრაპეზეზე, ექვარისტიაზე, იქ, სადაც ტყდება „პური ჩვენი არსობისა“. „ცენტრის“ ასეთი გაგება განასხვავებს გივი მარგველაშვილის კონცეფციას დიდი გერმანული ექსისტენციალისტის მოძღვრებისაგან. აქ ისინი ერთმანეთს შორდებიან. მათ სიშორეში შენარჩუნებულია „დისტანციის პათოსი“, რომელიც გამოითქმება ჰერაკლიტეს სიტყვებით, მასთან სახლში სტუმრად მისულ უცხოელებს რომ უთხრა: „ნუ გემინიათ, ღმერთები აქაც არიან!“

ფილოსოფოსი „შინაგანი ემიგრანტი“

ინტერვიუ გივი მარგველაშვილთან

2018 წელს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობაში გამოცა ინგლისურენოვანი წიგნი „ფილოსოფია საქართველოში: ნეოპლატონიზმიდან პოსტმოდერნიზმამდე“, რომლის ერთი თავი გივი მარგველაშვილს ეძღვნება. ამ თავის ავტორები არიან პროფესორები ანასტასია ზაქარაძე და ირაკლი ბრაჭული, რომლებიც 2019 წლის 11 მარტს ბინაში ესტუმრნენ გივი მარგველაშვილს. ფილოსოფოსთან პროფესორების ცოცხალი ინტერვიუ შედგა, რომელსაც გაზეთი „თბილისის უნივერსიტეტი“ უცვლელად გთავაზობთ.

— ბატონო გივი, ძალზედ გავრცელებულია შეხედულება, რომლის მიხედვითაც ფილოსოფიამ ძველი ფუნქცია დაკარგა და აღარაფერი აქვს სათქმელი. ამიტომაც აღარ არიან ჩვენს შორის პლატონები და ნეტარი ავგუსტინები. თითქოს მას შემდეგ, რაც შეგვქმნა დამთავრდა კლასიკური სისტემების შექმნა, ფილოსოფია შექსპირის „მეფე ლირიკით“ სამეფოს გარეშე დარჩა; 21-ე საუკუნეში მისი ადგილი სამსახურიდან გადადგარი ხანდაზმული პენსიონერივით მოხუცებულთა თავსებად ფარშია. ნიცშეს ზარატუსტრა შეხვდა პენსიაში გასულ უსაქმოდ დარჩენილ რომის პაპს, რაღაც მსგავსი ხომ არ დაემართა ფილოსოფიას?

— ეს შეხედულება არ არის სწორი. ქმშარბიტების თანამედროვე გამოვლინებანი კონკრეტულია, ამიტომ მისი გამოხატულება კონკრეტული ფილოსოფიაა და არა ცნებებითი ფონგილორობა. ედმუნდ ჰუსერლმა და მარტინ ჰაიდგერმა შეცვალეს ჩვენი წარმოდგენები სამყაროზე და აზროვნებაზე. ფენომენოლოგიური მიმდინარეობის ნიადაგზე სრულიად ახალი, უცნობი ვითარებანი გამოავლინა XX საუკუნეში.

— სხვები?

— კი, როგორ არა, არიან სხვა ნამდვილი ფილოსოფოსებიც, საფრანგეთში ფილოსოფიის უახლესი ტალღა; ძალიან საინტერესო რელიგიური ფილოსოფიის გამოცდილება. საჭიროა გლობალურად შევხედოთ ფილოსოფიას, როგორც საერთო ევროპულ

ღირებულებას. ამ „საერთო ევროპული ღირებულების“ ნაწილია ქართული ფილოსოფიური აზრიც იოანე პეტრიწის ნეოპლატონური მოძღვრებიდან დღევანდელამდე.

— თქვენზე და მერაბ მამარდაშვილზე ამბობენ, რომ შეიძლება მიგაკუთვნოთ პოსტმოდერნისტულ ფილოსოფიას. ერთერთ ინტერვიუში საკუთარ ტექსტებზე საუბრისას იხმარეთ ტერმინი „პოსტ პოსტმოდერნისტული“. რას ფიქრობთ ამაზე?

— კარგს ვფიქრობ! თვითონ პოსტმოდერნულია შინაგანად გულსხმობს თავისივე „პოსტ-პოსტ“-ს და ა.შ.

— ბატონო გივი, რას ურჩევდით ახალგაზრდა ქართველ ფილოსოფოსებს?

— ვუსურვებდი ყველაფერს კარგს. ვურჩევდი ის აკეთონ, რაც უნდათ. ახსოვდეთ, რომ კლასიკა მნიშვნელოვანია, მთავარი საზრდო იქაა.

— ურჩევდით, ევროპაში ან ამერიკაში ისწავლონ ფილოსოფია? ეს აუცილებელია?

— შეიძლება აქ იყო, მაგრამ სინამდვილეში „არ იყო აქ“. შეიძლება პირიქითაც მოხდეს. „შინაგანი ემიგრაცია“ ფილოსოფოსის ბედისკეთაა.

— გერმანიიდან სამშობლოში თქვენს დაბრუნებას სიმბოლური მნიშვნელობა აქვს?

— საქართველო ჩემი სამშობლო კი არ არის, არამედ Vaterland-ია, „მამის სამშობლო“, მამაჩემის სამშობლოა. ქართული ენა ხომ უცხო ენაა ჩემთვის. ჩემი ბავშვობა და მოზარდობა გერმანიაში, ბერლინში ორმაგი ემიგრანტობა იყო. ეზოში, სკოლაში ბავშვები, თანატოლები ყოფილნი დამდეგდნენ როგორც უცხო, უცნაური გვარის მქონე არსებები. უცხოის არმილება ზემოდან ინერგება ხალხში. დღესაც ასეა. მაშინ მე ერთადერთი ორმაგი ემიგრანტი ვიყავი გერმანიაში. დღეს იქ ათასობით არიან ჩემი ბედით მცხოვრები ქართველები.

— იქ, გერმანიაში ქართული წერა-კითხვა იცოდით? ქართული წიგნები არ გქონდათ?

— საიდან?! საქართველოში რომ ჩამომიყვანეს, მერე წავიკითხე რუსთაველი, ვაჟა-ფშაველა, გალაკტიონი...

— რა შთაბეჭდილება მოახდინა?

— კინაღამ გავგიჟდი (იცინის).

— თქვენ შექმენით რომანი „მუცალი“. ვაჟას პოემის დასაწყისშივე ალუდა კლავს მუცალს. მაგრამ იგი თქვენს ტექსტში აგრძელებს თავის უცნაურ „ექსისტენციას“. მაშასადამე, თქვენი ნაწარმოები ვაჟა-ფშაველას პოემის ინტერტექსტია?

— რა თქმა უნდა, მისი ერთ-ერთი ვერსიაა.

— „ალუდა ქეთელაური“ დიადი ქრისტიანული ტექსტია. შეიძლება პირობითად ითქვას, რომ ის სახარების ქართული ვერსიაა. ალუდას ისევე მოკვეთენ შტილიონები, როგორც იესო მოკვეთა იუდეველთა თემმა. მართლაც საოცარი პარალელებია.

— ეგ არის პრივატული საქმე. რას წარმოადგენს ვაჟა ჩემთვის, ესაა ამოსავალი. თუ შენ სულით და გულით ხარ, მაშინ ეს ყოფილა შენი ბედი. ამ მხრივ ეკლესია უნდა გახდეს უფრო კონკრეტული. ეს ხომ არმია არ არის. ანდა არის „არმია“, ოღონდ „პრივატული არმია“; თუ ასე არ არის, მაშინ არასწორია.

— დავებრუნდეთ თქვენს მარადიულ ემიგრანტობას.

— თვითონ ერცი, თვით ღვთის რჩეული ერცი ემიგრანტობს, — ჯერ გვიპტის ტყვეობაშია, მერე უდაბნოში ხეტიალობს. ყველა დიდი ფილოსოფოსი, მწერალი, მხატვარი, მუსიკოსი ყველგან წუთისოფელში არის „შინაგანი ემიგრანტი“.

— თუ ასე არა ხარ, მაშინ არა ხარ ფილოსოფოსი!

„90 ამავენი – მუხრანი“

პარტია ბაროშვილი

„მუხრანის მოსვლა მასსოვს ლიტერატურულ წრეში... მოვიდა მაღალი, ბეჭებში ოდნავ მოხრილი, გრძელთმიანი და ჭკვიანთვალეებიანი ბიჭი. იჯდა უხმოდ. სიტყვა ითხოვა ბოლოს. გვეგონა ლექსს წაიკითხავდა — არაფერიც, მარატივით მგზნებარე სიტყვა თქვა ბოხი და ზარჩადგმული ხმით... დაახლოებით ასე ილაპარაკა: — მე მჯერა, მოვა კაცი, პოეტი! დაანთებს ხანძარს, შეაზანზარებს მთებს, რომლებიც დგანან და ელიან. მის ხმაზე დაიძრებიან მყინვარები, მდინარეები, აღმოსავლეთიდან ზვრები, დასავლეთიდან ჩაის ბუჩქები და სმენად მოვიდინა კაცნი და მხეცნი... მე მჯერა!... და რა იცოდა მუხრანმა, ან მე რა ვიცოდი, რომ ეს კაცი თვითონ იქნებოდა! — ასე იხსენებდა ნოდარ დუმბაძე მუხრან მაჭავარიანთან პირველ შეხვედრას. სხვა უამრავი, საინტერესო ამბავია მოთხრობილი წიგნში „90 ამავენი – მუხრანი“, რომლის პრეზენტაცია თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, თაობებისთვის უკვე ლეგენდად ქცეულ „93 აუდიტორიაში“ გაიმართა. იუბილეს სტუდენტები, პროფესორ-მასწავლებლები, მწერლები, პოეტის მეგობრები და ოჯახის წევრები დაესწრნენ.

ნოდარ დუმბაძის „წინასწარმეტყველება“ ახდა: გასული საუკუნის „ქართული პოეზიის საპატიო რაინდად“ აღიარებული პოეტის ნათლობა, რომელიც თავიდანვე ხმაურით მოვიდა ქართულ პოეზიაში, 1949 წელს შედგა, როდესაც უნივერსიტეტის ლიტერატურულ აღმასწავლებელმა „პირველი სხივი“ მისი ლექსები დაიბეჭდა. მკითხველმა განსაკუთრებულად შეიყვარა მისი „საბა“, „სხვისი მისაბაძი რა მჭირს“, „შენ სისხლო ჩემო“, „საშველს რომ აღარ მაძლევს ხოლმე მამულზე ფიქრი“, „მე ისეთ ქართველს რა ვუთხრა“, „ვითარცა მტკვარი“ და სხვა. საბჭოთა პერიოდში ეს სიტამამე ხშირად ძვირად უჯდებოდა, პოეტის მიერ არჩეული გზართული და წინააღმდეგობებით აღსავსე აღმოჩნდა. დღემდე უცნობ ბიოგრაფიულ ცნობებს გაეცნობა მკითხველი ამ კრებული საშუალებით — დაბადებიდან — გარდაცვალებამდე, სადაც მუხრანის, მწერლების, მეგობრების და ახლობლების მოგონებებია შესული.


საიუბილეო საღამოზე მუხრან მაჭავარიანის შემოქმედებაზე და წიგნის მნიშვნელობაზე ჟურნალისტმა, მეცნიერებათა დოქტორმა, პროფესორმა იოსებ ჭუმბურიძემ ისაუბრა: მუხრან მაჭავარიანის იუბილე უკვე რამდენიმე ადგილას აღინიშნა, მათ შორის, მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიაში, რაც ლოგიკური და ბუნებრივი იყო, რადგან მუხრან მაჭავარიანი ჩვენი დროის უკანასკნელი პოეტი-აკადემიკოსი იყო. მუხრანის სახელი განუყრელად არის დაკავშირებული უნივერსიტეტთან. XX საუკუნის ქართული პოეზიის სარბიელზე ანა კალანდაძის და მუხრან მაჭავარიანის გამოჩენა ნამდვილი მოვლენა იყო. ჩვენი აზრით, უნივერსიტეტში მისი შემოქმედება უნდა ისწავლებოდეს, რადგან ის არა მხოლოდ დიდი პოეტი, არამედ დიდი საზოგადო მოღვაწე იყო. მისი ბიოგრაფიიდან და ცხოვრებიდან ახალგაზრდებმა ბევრი რამ უნდა ისწავლონ — უპირველეს ყოვლისა, სამშობლოს სიყვარული. XX საუკუნის მეორე ნახევარში არავის იმდენი არ გაუკეთებია თავისი სამშობლოსთვის, რამდენიც მას. სამშობლო მისთვის ყველაზე მაღლა იდგა და მთელი მისი შემოქმედება ამის დადასტურებაა. სასიამოვნოა ის ფაქტი, რომ თსუ-ის სტუდენტებმა გამოიჩინეს ინიციატივა, რომ პოეტის იუბილე აღენიშნათ. უნივერსიტეტი უნდა „მიუბრუნდეს“ ისეთ ადამიანებს, როგორიცაა კონსტანტინე გამსახურდია, ზვიად გამსახურდია, მუხრან მაჭავარიანი და სხვა გამოჩენილი ადამიანები — ამ მი-



მართლებით უნივერსიტეტში ძვრები შეინიშნება და მისასაღმებელია თსუ-ის ხელმძღვანელობის ინიციატივა, აღდგეს ახალგაზრდა მწერალთა წრეც... ის, რაც გასულ საუკუნეში 93-ე აუდიტორიაში ხდებოდა, ძალიან მნიშვნელოვანი იყო არა მარტო უნივერსიტეტისთვის, არამედ ქვეყნისთვის...“

კრიტიკოსის, ფილოლოგიის დოქტორის ლევან ბრეგაძის აზრით, კრებული „90 ამავენი – მუხრანი“ მნიშვნელოვანია იმ თვალსაზრისითაც, რომ, ფაქტობრივად, საზოგადოებამ მუხრან მაჭავარიანის ბიოგრაფია კარგად არ იცის. „მაშინ არ ხმაურდებოდა ის დეტალები, რომელსაც ამ წიგნის საშუალებით იგებს მკითხველი. განსაკუთრებით ფასეულია ოჯახის წევრების მოგონებები, მათ შორის, მისი მეუღლის, ლამარა ბოკერიას ჩანაწერები. ამა-სთან, ამბები ისეა დალაგებული, რომ მკითხველის თვალწინ პოეტის მთელი ცხოვრება გაივლის. წიგნში შესულია უნიკალური ფოტო-მასალა. სწორედ ამ მოგონებებიდან ჩანს, თუ როგორი რთული ცხოვრება ჰქონდა პოეტს. მუხრანს ჰყავდა მეგობრები, ახალგაზრდებს გვეგონა, რომ ეს იყო სანიმუშო მეგობრობა, მაგრამ სამწუხაროდ, როგორც შემდეგ გაირკვა, ასე არ ყოფილა. მისი მეუღლე ერთ-ერთ მეგობარზე წერს: „უკადრებელი იკადრა!“ ხანდახან ზოგიერთები დღემდე ცდილობენ დააკნინონ მისი დამსახურება ეროვნულ-გამათავისუფლებელ მოძრაობაში და ქართული პოეზიის წინაშე. მან ქართულ პოეზიას ახალი სიცოცხლე შე-

მატა, არასდროს ყოფილა „საბჭოთა პოეტი“ — ეს მის ყველა სტრიქონში იგრძნობა. მასსოვს, როდესაც მან 1964 წელს წაიკითხა ლექსი „გაუმარჯოს საქართველოს მოთმინების ფილას“, „მეხივით გავარდა“, რასაც პოეტის რეპრესია მოჰყვა. ვითომდა „შემოქმედებითი მივლინებით“ 2 წლით ბულგარეთში გაემგზავს. სინამდვილეში ეს იყო ერთგვარი გადასახლება, როგორც არასაიმედო მუშაკისა. მისი მოგონებებიდან ჩანს, როგორ ენატრებოდა ოჯახს. როდესაც დაბრუნდა, ჟურნალ „დილას“ რედაქტორად დანიშნეს. სწორედ მაშინ გამოიცა საბავშვო გამოცემა „მთიები“ — კალენდარი, თუმცა მეორე ნომერი აღარ გამოსულა. 80-იანი წლების შუა ხანებში აღმანახ „საუნჯის“ რედაქტორი იყო, სადაც მხოლოდ თარგმანები იბეჭდებოდა. ხუმრობდა ხოლმე — „საუნჯეში“ კი არა, „სამუნჯეში“ ვმუშაობო. როდესაც ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის ახალი ტალღა მოახლოვდა, მუხრანი ასეთ „უწყინარ“ ადგილზეც კი საშიშად მოეჩვენათ. პოეტი მოგვიანებით დაფასდა — 1987 წელს რუსთაველის პრემია მისცეს, შემდეგ მწერალთა კავშირის თავმჯდომარედ ავირჩიეთ. დრომ გვიჩვენა, რომ მისი ცხოვრება თავგანწირვა იყო“, — ასე გაიხსენა პოეტი ლევან ბრეგაძემ. პოეტი და მეგობარი პროფესორებმა ელდერ ნადირაძემ, მანანა გაბაშვილმა, გამოცემულ „ინტელექტის“ დირექტორმა კახიბე კუდავამ, მედია ლლონტმა გაიხსენეს. „მუხრან მაჭავარიანის პოეზია — ეს იყო შექცეული, გაფრთხილება... მის



მოღვაწეობას უკვალოდ არ ჩაუვლია, მის ლექსებზე თაობები აღიზარდა, ეს იყო ერთგვარი ბიძგი დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის გზაზე. ჩვენი უახლესი ისტორიის მძიმე დღეები მასაც შეეხო. ერთ დღეს გავიგე, როგორ დაცხრილეს მისი ფანჯარა, შემდეგ როგორ დააპატიმრეს მუხრანი და ვახტანგ ბოჭორიშვილი... მუხრანს დიპლტი ჰქონდა და მისთვის განსაკუთრებული კვების რეჟიმი იყო აუცილებელი, მასთან მისულებს პოლიციელები დარცხვენოვანი დაგვხვდნენ, რადგან ისინიც მის ლექსებზე იყვნენ გაზრდილები. გვიხრეს — რა ვქნათ, ზემოდან გვიბრძანესო. როდესაც მუხრანი უნივერსიტეტში მოდიოდა, აუდიტორიაში ხალხის ტევა არ იყო, 50 წლის იუბილეზე ვერც შევალნივ. ახალგაზრდობა უნდა დაფიქრდეს იმაზე, რომ ეროვნული გრძნობა, ამავე დროს, თვითგადარჩენის ინსტიქტი. რაც უფრო მეტი ბრძოლები და ამაყები ვიქნებით, ყველა ანგარიშს გაგვიწევს. ჩვენი სურვილია, რომ მისმა პოეზიამ შეიძინოს თავისი ნამდვილი შინაარსი და რომ კვლავაც ჩასწვდეთ — რისი თქმა უნდოდა პოეტს. ეს იქნება მუხრან მაჭავარიანის გამარჯვება“, — ასე მიმართა სტუდენტებს პროფესორმა მანანა გაბაშვილმა.

აღსანიშნავია, რომ საიუბილეო საღამოზე ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტის ფილოლოგიის მიმართულენის სტუდენტებმა თამარ ვაშაკიძის ხელმძღვანელობით, მუხრან მაჭავარიანის ლექსების ციკლის („1832“ და „წელიწადის დრონი“) მიხედვით შექმნილი ორი კომპოზიცია წარმოადგინეს.

პოეტის შვილის, პროფესორ ნანა მაჭავარიანის ინფორმაციით, წიგნის — „90 ამავენი – მუხრანი“ შექმნის იდეა გამომცემლობა „არტანუჯის“ დირექტორს ბუბა კუდავას ეკუთვნის.

„დღევანდელ აქტურულ საუკუნეში ადამიანებს წიგნის კითხვისთვის ნაკლებად სცალიათ, ამიტომ მცირე მოცულობის „თან-საკითხავი“ ისტორიები იქმნება. ამ კრებულში მკითხველისთვის ბევრი უცნობი ბიოგრაფიული ამბავია შეტანილი, რომელსაც ოჯახის წევრები, ნათესავები, მეუღლე, მეგობრები: ლამარა ბოკერია, თინათინ (დოდო) ჭიჭინაძე, დოდო მაჭავარიანი, ნანა მაჭავარიანი, ლერი ახმეტელი, ანა ახმეტელი, ლევან აბრამიშვილი, თამარ აბრამიშვილი, ლევან ბრეგაძე, რატი ამაღლობელი, ზურაბ თოდაძე, ნოდარ დუმბაძე, თამარ ვაშაკიძე, მურმან ლებანიძე, ელდერ ნადირაძე, დათო ტურაშვილი, შოთა ჩანტლაძე, გივი ძნელაძე, იოსებ ჭუმბურიძე იხსენებენ დაბადებიდან — გარდაცვალებამდე... მაღლობა მინდა გადავუხადო თსუ-ის თვითმართველობის სტუდენტებს, გამომცემლობა „არტანუჯის“ დირექტორს ბუბა კუდავას და მის მეგობრებს მამის დაფასებისა და გახსენებისთვის“, — განაცხადა ნანა მაჭავარიანმა.

საიუბილეო საღამოზე არაერთხელ აღინიშნა, რომ მუხრან მაჭავარიანმა თავისი შემოქმედებით ეპოქა შექმნა, მისი ცხოვრება და მოღვაწეობა ამის დადასტურებაა.



ქართველთა და აფხაზთა ერთობლივი სამეცნიერო-პოპულარული ფილმი გადაიღეს

ნატო ოზოლაძე

25 წლის შემდეგ, პირველად, ქართველებმა და აფხაზებმა ერთობლივი სამეცნიერო-პოპულარული ფილმი — „ანიხა“ — გადაიღეს. ფილმი აფხაზური სალოცავებისა და საახალწლო რიტუალის შესახებ მოგვითხრობს. შემოქმედებითი ჯგუფის მიზანი აფხაზური ტრადიციების ფართო საზოგადოებისთვის გაცნობა იყო. ფილმზე ერთობლივად მუშაობდნენ აფხაზური მხრიდან — დაურ ნაჭყებია და ბეტისლავ აბლოთია, ქართულ მხარეს კი თსუ-ის ქართულ-აფხაზურ ურთიერთობათა სამეცნიერო კვლევითი ცენტრის წარმომადგენლები ნინო ბერძინიშვილი და ზურაბ შენგელია წარმოადგენდნენ.



ზურაბ შენგელია



ლია გიგაური



თარგმნა და თურქეთში ჩვენება, რომელსაც ჩვენი ცენტრის წარმომადგენელიც დაესწრა, — განაცხადა თსუ-ის ქართულ-აფხაზურ ურთიერთობათა სამეცნიერო კვლევითი ცენტრის დირექტორმა ზურაბ შენგელიამ.

„ანიხა“-ს დახურული ჩვენება უკვე მოეწყო სოხუმში, 22 მაისს კი პრეზენტაცია თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორმა გიორგი შარვაშიძემ აღნიშნა, რომ ეს პროექტი მნიშვნელოვანია სამეცნიერო, ეთნოგრაფიული კუთხით და ამ მიმართულებით საქმიანობის გაგრძელება აუცილებელია. ფილმის ჩვენებას ესწრებოდა შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის მოადგილე ლია გი-

გაური. მისი თქმით, „სახელმწიფო პოლიტიკა გულისხმობს ნდობის აღდგენას მავთულხბორებით გაყოფილ ერებს შორის. ამ ფილმს აქვს დიდი დატვირთვა — კიდევ ერთხელ გაგვაცნოს ჩვენი ძმები, რომლებიც ოკუპირებულ ტერიტორიაზე ცხოვრობენ. აუცილებელია, ერთმანეთთან მშვიდობიანი ურთიერთობა დავამყაროთ, რათა ერთად ავაშენოთ ქვეყნის მომავალი“.

სამეცნიერო-პოპულარული ფილმი „ანიხა“ პროგრამის „გავიცნოთ აფხაზეთი“ ფარგლებში გადაიღეს. პროგრამას თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართულ-აფხაზური ურთიერთობათა სამეცნიერო კვლევითი ცენტრი, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აფხაზური ენისა და კულტურის კომისია და ქართულ-აფხაზურ ურთიერთობათა ინსტიტუტი

ერთობლივად ახორციელებენ. მთავარი მიზანია აფხაზური ეთნოკულტურული სივრცის აღწერა-შენარჩუნება, განვითარება და პოპულარიზაცია. პროგრამის პოლიტიკური დატვირთვა აფხაზების პრობლემების გაზიარებასა და ნდობის აღდგენა-გაღრმავებაში გამოიხატება. ამისათვის თსუ-ის ქართულ-აფხაზურ ურთიერთობათა სამეცნიერო კვლევითი ცენტრი რამდენიმე პროექტს ახორციელებს — აფხაზური ენციკლოპედიური გამოცემები, თსუ-ის ბაზაზე აფხაზური ბიბლიოთეკის მოწყობა, აფხაზურენოვანი ინტერნეტ-რადიო „ჰარა“ და აფხაზური ზემორმეტყველების კურსები. როგორც ქართულ-აფხაზურ ურთიერთობათა სამეცნიერო კვლევითი ცენტრის დირექტორმა ზურაბ შენგელიამ აღნიშნა, აფხაზების ნდობა იზრდება. ამის დამადასტურებელია ცენტრის მიერ განხორციელებულ პროექტებზე საპასუხო უკუკავშირი და რადიო „ჰარას“ აფხაზი მსმენელის მხრიდან მზარდი კომუნიკაცია.

„აფხაზური ეთნო-კულტურული სივრცის შენარჩუნება-განვითარება ჩვენი სახელმწიფოებრივი ვალია. ამის საფუძველია თუნდაც ის, რომ აფხაზურ ენას საქართველოს კონსტიტუციის მიხედვით სახელმწიფო ენის სტატუსი აქვს. შესაბამისად, ამ კულტურას რომ რაიმე დაემუქროს ან გაქრეს, ცივილიზაციის წინაშე პასუხისმგებლები ჩვენ ვიქნებით. მნიშვნელოვანია, რომ თითქმის ყველა პროექტში, რომელსაც ვახორციელებთ, აფხაზები არიან ჩართულები და ჩვენთან თანამშრომლობენ. ყველაზე კარგი ფაქტი კი ის არის, რომ ფილმის ერთობლივი გადაღების გადაწყვეტილება მივიღეთ, ანუ ვიპოვეთ საკითხი, რომელიც ჩვენს საერთო ინტერესს წარმოადგენს. ვითარება შეიცვალა, მიუხედავად იმისა, რომ არ უნ-

დათ პოლიტიკურად საქართველოს შემადგენლობაში ყოფნა, რუსეთიდან მომავალ საფრთხეს ხედავენ, რაც აფხაზური ეთნო-კულტურული სივრცის გაქრობას გულისხმობს. ისინი გვიგზავნიან ახალ გამოცემულ ნიგნებს თსუ-ის აფხაზური ბიბლიოთეკისთვის. რადიოს საშუალებით გვიკავშირდებიან და გვთხოვენ შუამავლობას საქართველოს მთავრობასთან ჯანდაცვისა თუ განათლების საკითხებზე. ვფიქრობ, რომ აფხაზებთან ნდობის ხელახლა მოპოვებასა და გაღრმავებას სწორედ ამ საკითხებზე ერთობლივი მუშაობით შევძლებთ.

მინდა, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს მადლობა ვუთხრა, რადგან, როგორც ყოველთვის მოწინავეა და დაინახა ჩვენი ცენტრის მუშაობის მნიშვნელობა ქართულ-აფხაზური ურთიერთობის აღდგენა-გაღრმავების პროცესში. თუმცა, გასაკეთებელი კიდევ ბევრია, მაგალითად, აუცილებელია, მთარგმნელობითი მუშაობის დაწყება, ისტორიული საკითხებისა და აფხაზთა სამართლებრივი ბაზის შესწავლა, ასევე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში აფხაზური ზემორმეტყველების კურსის არჩევითი საგნის სტატუსის დაწინაურება. აფხაზებთან ურთიერთობისთვის რაც შეიძლება მეტი საერთო ინტერესი უნდა მოვძებნოთ“, — განაცხადა ზურაბ შენგელიამ.

თსუ-ის ქართულ-აფხაზურ ურთიერთობათა სამეცნიერო კვლევითი ცენტრი აფხაზურ კულტურასა და სალოცავებზე სამეცნიერო-პოპულარული ფილმების გადაღებებს აგრძელებს. მომდევნო თემად მარიამობის დღესასწაული შეარჩიეს. გადაღება 28 აგვისტოს მარიამ ღვთისმშობლის მიძინების დღეს დაიგეგმა, რომელსაც აფხაზები, მართლმადიდებლებისგან განსხვავებით, გლოვის დღედ მიიჩნევენ.

ლალი ქეცბა-ხუნდაძე პოეზიის ავტორია

ნატო ოზოლაძე

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის კათედრის ხელმძღვანელი, პროფესორი ლალი ქეცბა-ხუნდაძე გერმანულენოვან პოეზიას 90-იანი წლებიდან ქმნის. მისი ლექსების კრებული „Spiel der Laute“/„ბგერების თამაში“ გამომცემლობამ „Grupello“ (ქალაქი დიუსელდორფი) 2018 წლის ივლისში გამოსცა, პრეზენტაცია ქართველი მკითხველისთვის კი 13 მაისს მწერალთა სახლში გაიმართა.



ლალი ქეცბა-ხუნდაძის მიერ გერმანულ ენაზე შექმნილი ლექსები, როგორც ამას გერმანული რეცენზენტები აღნიშნავენ, „მისი ენობრივი რეფლექსიის სიღრმეზე მიუთითებს. ავტორი ბუნებისგან მიღებულ შთაბეჭდილებებს, დროისა და სივრცის აღქმას, მოგონებებსა და ყოველდღიურობის ცხოვრებისეულ განცდებს მალალი რანგის ლირიკულ მინიატურებად აქცევს. გამოსატყვის ექსპრესიული მანერით, გერმანულ ენასთან ესთეტიკური თამაშით

და გამონათქვამების დახვეწილი ფორმით ავტორი სამყაროს აღქმის მისეულ, თვითმყოფად პოეტურ სტილს გვთავაზობს“.

„ქალბატონი ლალი ქეცბა-ხუნდაძის შექმნილი ლექსების კრებული ძალიან მომწონს. იშვიათი შემთხვევაა, როდესაც ადამიანი უცხო ენაზე ლექსებს წერს. ამისათვის აუცილებელია ენის ძალიან კარგი შეგროვება და ინტუიცია. ეს ქალბატონ ლალის ნამდვილად აქვს. ბგერათა თამაში კარგად აქვს გამოყენებული. ლექსები შინაარსობრივადაც ძალიან საინტერესოა“, — განაცხადა DAAD-ის თბილისის საინფორმაციო ცენტრის ხელმძღვანელმა, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოცენტმა გებეზარ როლიმ.

სალამო გერმანულ ენაზე ჩატარდა. ლექსების კრებული „Spiel der Laute“/„ბგერების თამაში“ 2018 წლის 12 ოქტომბერს მაინის ფრანკფურტის ნიგნის ბაზრობაზე იყო წარდგენილი. ავსტრიაში საქართველოს საელჩოს მხარდაჭერით და ნიგნის მალაზიათა ცნობილი ქსელის „Thalia Buch-

handlung“ ორგანიზებით იმავდროულად 22 ოქტომბერს კრებულის საჯარო კითხვა ქალაქვენაშიც გაიმართა. ლექსების კრებულის — „Spiel der Laute“/„ბგერების თამაში“ — პრეზენტაცია მწერალთა სახლში პროექტის გერმანული ენის თვე ფარგლებში მოეწყო. „ლალი ქეცბა-ხუნდაძე ერთერთი საუკეთესო პედაგოგია და, ამავე დროს, აღმოვაჩინე, რომ ლექსებსაც წერს, თანაც გერმანულ ენაზე. ბევრმა გერმანელმა მითხრა, მისი პოეზია იმდენად კარგია, მკითხველი ვერც კი მიხვდება, თუ უცხოელი ავტორის მიერ არის დაწერილი. ლექსები უაღრესად საინტერესოა შინაარსობრივი თვალსაზრისითაც“, — აღნიშნა გ. ლეონიძის სახელობის ქართული ლიტერატურის სახელმწიფო მუზეუმის დირექტორმა ლაშა ბაქრაძემ.

„ეს ჩემთვის სასიამოვნო და უცნაური მოვლენაა, რადგან ერთ-ორი ენა მეც ვიცი მშობლიური იყო, მაგრამ აზრადაც არ მომხვალა, ქართულის გარდა, სხვა ენაზე ლექსები მწერა. ლალი ქეცბა-ხუნდაძის კრებული ორმაგად დასაფასე-


ბელია, ის არის გერმანულენოვანი ოაზისი საქართველოს სინამდვილეში. კრებულს გავეცანი, მომენათა, ლექსები ამართლებს იმ ესთეტიკას, რაც სათაურშია მოცემული. ამ პოეტური სამყაროს ხერხემალი ბგერათა თამაშზეა აგებული. განსაკუთრებით დასაფასებელია ის, რომ უცხოელი ავტორი გერმანული ენის სიღრმეში ისეა შესული, შეუძლია ამ ერთ თამაშად ითამაშოს. ვესწრებოდი ფრანკფურტში ნიგნის წარდგინებას და ვნახე, როგორ თბილად და დიდი ინტერესით მიიღო გერმანელმა მკითხველმა ქალბატონ ლალის პოეზია“, — გვითხრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორმა, პოეტმა და მთარგმნელმა გიორგი ლოპუა-ნიძემ.

პროფესორი ლალი ქეცბა-ხუნდაძე თსუ-ის გერმანული ფილოლოგიის კათედრას 2006 წლიდან ხელმძღვანელობს. ნაყოფიერი სამეცნიერო და პედაგოგიური მოღვაწეობისთვის იგი დაჯილდოებულია ივანე ჯავახიშვილის სახელობის მედლით.



ლაქციის ხუროთმოძღვრული „მანქანის ქარხანა“ სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის მიხედვით

საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიამ 2018 წლის დეკემბერში გამოაცხადა კონკურსი ფუნდამენტური, საგანმანათლებლო და გამოყენებითი ხასიათის ნაშრომებისათვის აკადემიის პრეზიდიუმის მიხედვით შესახებ. კონკურსის შედეგები დამტკიცდა 2019 წლის თებერვალში საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის მიერ. 2018 წლის პრემია დარგში საუკეთესო ფუნდამენტური, საგანმანათლებლო და გამოყენებითი ხასიათის ნაშრომებისათვის აგრობიზნესის მენეჯმენტის სფეროში მიენიჭა ლექციების კურსს „მენეჯერული ეკონომიკა“ კურსის ავტორები არიან თსუ-ის პროფესორი ეთერ ხარაიშვილი, თსუ-ის ასოცირებული პროფესორი მარინა ჩავლეიშვილი, საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი ნინო დამენია, ეკონომიკის დოქტორი ცირა მიქაბაძე.



„მენეჯერული ეკონომიკის“ კურსი შედგენილია მენეჯერულ ეკონომიკაში ადაპტირებული ევროპული და ამერიკული სახელმძღვანელოებისა და სილაბუსების საფუძველზე. იგი განკუთვნილია როგორც სტუდენტებისათვის, ასევე აღნიშნული სფეროში დაინტერესებული ფართო საზოგადოებისათვის. ნაშრომი 11 თავს მოიცავს და მასში განხილულია მნიშვნელოვანი თეორიული და პრაქტიკული ხასიათის საკითხები. მენეჯერული ეკონომიკის ცოდნა მენეჯერული სამუშაოების აძლევს ეკონომიკური თეორიის ცოდნა პრაქტიკაში აქტიურად გამოიყენოს და მოუტანოს ფირმას სარგებელი. თეორიაში თითქოს ყველაფერი ნათელია, მაგრამ პრაქტიკაში განსაზღვრულია ბატონობა. მენეჯერი იმყოფება რეალურ სამყაროში, ამიტომ იგი საქმიანობას — „რა უნდა იყოს“, შესაბამისად ვერ აკეთებს. ამიტომ, მენეჯერებს უწინდებთან მენეჯმენტთან დაკავშირებული პრობლემები და მათ პასუხი უნდა გასცენ კითხვებს: როგორ მოიქცეს ბაზ-

არზე, თუ გრძნობს, რომ კონკურენტებს გააჩნიათ ფარული გარჩევა და ბაზარზე შეთანხმებული პოლიტიკით წარსდგებიან? როგორ მოიქცეს, თუ ფირმა მიიღებს ლეგალურ (ან ნახევრად ლეგალურ) შეთანხმებაში გაერთიანების წინადადებას? მენეჯერული ეკონომიკის კურსში ფართოდ არის განხილული ის პრობლემები, რომელიც აანალიზებს ფირმის ფუნქციონირების რეალურ სურათს. მენარმეობის შესახებ თანამედროვე შეხედულებების შემდგომი განვითარება გამოიხატება მის უნარში ექვსობა და მოიპოვოს მოგების მიღების საუკეთესო პირობები, ამოიცნოს სად და როგორ შეიძლება ინფორმაციის საუკეთესოდ ფლობა, რესურსების იაფად შექმნა, ტექნოლოგიებისა და სიახლეების მწარმოებლურად გამოყენება და სხვ. ინდუსტრიული და პოსტინდუსტრიული ეკონომიკის განვითარებაში გაართულა ფირმის ორგანიზაციული ფორმები, გაიზარდა წარმოების ზომა,

ახალი ტექნოლოგიების გამოყენება. სულ უფრო საჭირო ხდება ბიზნესში ისეთი პროფესიონალების არსებობა, რომლებიც მრავალმხრივი ცოდნით (ეკონომიკის, საინჟინრო საქმის, შრომის ორგანიზაციის, ფსიქოლოგის) იქნებიან შეიარაღებული. როგორც შეიცვალა მეცნიერება. რისი განმარტავს, დღეს მსოფლიოში დომინირებს მენარმე-მენეჯერის ფიგურა, რომელიც მენარმეობით ფუნქციას ასრულებს კაპიტალის ფლობის გამო კი არა (რომელიც შეიძლება არც ჰქონდეს), არამედ მენარმეობით, მმართველობით და კომერციული ცოდნის უნარების გამო. ეს ფიგურა მენარმეობას გამოყოფს, როგორც განსაკუთრებულ საწარმოო ფაქტორს „კაპიტალისაგან“. მენეჯერისთვის მნიშვნელოვანია იცოდეს, რომ ფირმის ოპტიმალური ზომა მოცემული სიდიდე ვერ იქნება. იგი დამოკიდებულია მართვის სტრატეგიაზე. თანამედროვე პირობებში ზოგიერთი ფირმა მოგების მაქსიმიზაციის ნაცვლად უპირატესობას ანიჭებს პროდუქტის რეალიზაციიდან ამონაგების ალტერნატივას. ეს იმიტომ ხდება, რომ ამონაგების ზრდა ის საბაზრო მაჩვენებელია, რომლითაც ფირმის წარმატებული საქმიანობის შეფასებულია. რეალობაში ეს მაჩვენებელი მეტყველებს ფირმის სიცოცხლისუნარიანობაზე, მომხმარებლის ლოიალურ და კეთილგანწყობილ დამოკიდებულებებზე ფირმის პროდუქტისადმი, ბაზარზე კონკურენტული პოზიციის შენარჩუნებასა და შემდგომი ზრდის შესაძლებლობაზე. განსაზღვრული ხარისხით, ასევე, შეიძლება ჩაითვალოს, რომ სწორედ გაყიდვები და არა მოგება რეაგირებს წარმოების ხარისხის გაუმჯობესებაზე. შედეგად, როცა ფირმის პოზიცია განსაკუთრებით ძლიერია, მისი მოგება არც თუ ძალიან დიდია, მაგრამ ყველაზე მაღალი მოგება შეიძლება წარსული ძალისხმევების და არა მიმდინარე მდგომარეობის შედეგი იყოს. ამიტომ ზოგიერთი ფირმა უფრო მგრძობიარე ინდიკატორად მიიჩნევს შემოსავლის დინამიკას (მთლიანი ამონაგები).

ლექციების კურსში ყურადღება გამახვილებულია ისეთ მნიშვნელოვან საკითხებზე, როგორცაა მოთხოვნის შეფასება და პროგნოზირება; დანახარჯების პრაქტიკული მართვის პრობლემები; ფასწარმოქმნა და გადაწყვეტილება გამოშვების შესახებ კონკურენტულ და არაკონკურენტულ ბაზრებზე; რესურსების გამოყენების ოპტიმიზაცია, სადაც განხილულია მინა, როგორც საწარმოო ფაქტორი და ახსნილია, რომ მინა, როგორც „კაპიტალი“, შრომისგან განსხვავებით არაა განუყოფელი მისი მფლობელისგან. პირიქით, ხშირია სიტუაცია, როცა მინის მესაკუთრე ერთი პირია, ხოლო საწარმოო გამოყენებას სხვა ახორციელებს, ანუ მინის მესაკუთრე გარკვეულ საფასურად გადასცემს მას მოიჯარეს. ეს უკანასკნელი აწარმოებს პროდუქტს და თანხას ამონაგებიდან უხდის მინის მესაკუთრეს. მინის, როგორც საწარმოო ფაქტორის, გამოყენება წარმოშობს რენტას, ამ რენტის თავისებურ გადასახდელს მოიჯარისათვის და ერთდროულად შემოსავალს მესაკუთრისათვის. მინის რენტა ორი ძირითადი ფორმითაა წარმოდგენილი: დიფერენციალური (ზღვრული) და წმინდა (აბსოლუტური); კურსში შემოთავაზებულია რისკის შემცირებისა და მართვის მეთოდები, სადაც კონკრეტული მაგალითების საფუძველზე ახსნილია, რისკისადმი განწყობის მიუხედავად, როდის ჯობია რისკის მიღება და როგორ შეიძლება მისი მართვა. ლექციების კურსში „მენეჯერული ეკონომიკა“ ნარმატებით მიმდინარეობს სწავლება ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამებზე.

უჩა გოგიშვილი
თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის
ფაკულტეტის საზოგადოებასთან
ურთიერთობის სამსახურის
ხელმძღვანელი

მიზნობრივი სამეცნიერო-კვლევითი პროექტების საბრუნბო ხონოსი ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტზე

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის სტრატეგიული გეგმის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ამოცანაა ეკონომიკური მეცნიერების განვითარებაში მნიშვნელოვანი წვლილის შეტანა, სამეცნიერო-კვლევითი და ინოვაციური საქმიანობის გაძლიერება. ფაკულტეტმა დასახული ამოცანის რეალიზაციისთვის შეადგინა სამოქმედო გეგმა, რომელშიც მნიშვნელოვანია ეკონომიკისა და ბიზნესის მიმართულებით აქტუალური პრობლემების კვლევების განხორციელება, რომლებშიც აქტიურად იქნებიან ჩართულნი როგორც აკადემიური პერსონალი, ასევე, სტუდენტები. ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანის, პროფესორ გიორგი ლალანოძის ინიციატივითა და ფაკულტეტის საბჭოს გადაწყვეტილებით, ფაკულტეტზე გამოცხადდა მიზნობრივი სამეცნიერო-კვლევითი პროექტების კონკურსი და სამეცნიერო-კვლევითი პროექტებისთვის 2019 წელს ფაკულტეტის ბიუჯეტში გამოიყო შესაბამისი თანხა (30 000 ლარი).



ხელმძღვანელი, პროფესორი დავით ნარმანია;

3. „საქართველოში ბიზნესის განვითარების ინსტიტუციური პირობები და ევროკავშირთან ინტერნაციონალიზაციის ძირითადი მიმართულებანი“ — საერთაშორისო ბიზნესის კათედრა, პროექტის ხელმძღვანელი, ასოცირებული პროფესორი ნატალია ხარაძე;
4. „აკადემიური პერსონალის შერჩევის კრიტერიუმებისა და მათი საქმიანობის რეგულირების კვლევა“ — მენეჯმენტისა და ადმინისტრირების კათედრა, პროექტის ხელმძღვანელი, ასოცირებული პროფესორი ნატალია ხარაძე;
5. „ფინანსური ანგარიშგების გამჭვირვალობის მნიშვნელობა და მისი ანალიზის გაუმჯობესების გზები საქართველოს საწარმოებში“ — ბუღალტრული აღრიცხვისა და აუდიტის კათედრა, პროექტის ხელმძღვანელი, ასოცირებული პროფესორი იზოლდა ჭილაძე.

ფაკულტეტმა შეიმუშავა ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის მიზნობრივი სამეცნიერო-კვლევითი პროგრამების დასაფინანსებლად კონკურსის პირობები და ჩატარების წესი, ასევე, შეიქმნა მიზნობრივი სამეცნიერო-კვლევითი პროექტების დაფინანსებაზე გადაწყვეტილების მიმღები საკონკურსო კომისია. სამეცნიერო პროექტების კონკურსმა საკმაოდ დიდი ინტერესი და გამოხმაურება გამოიწვია ფაკულტეტის აკადემიურ პერსონალში. ამის ნათელი დადასტურებამ იყო საკონკურსოდ წარმოდგენილი 8 პროექტი. პროექტები მოიცავდა როგორც ეკონომიკის, ისე ბიზნესის ადმინისტრირების მიმართულების აქტუალური პრობლემების კვლევას. კომისიამ იმსჯელა თითოეულ პროექტზე და მათი მნიშვნელობიდან გამოიწინარა, მიიღო გადაწყვეტილება, რომ ყველა პროექტს მისცემოდა სამეცნიერო-კვლევის განხორ-

ცილების საშუალება და ყველა პროექტი გამოცხადდა გამარჯვებულად. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ თითოეულ პროექტში აქტიურად არიან ჩართული სწავლების სამივე საფეხურის სტუდენტები. კომისიამ იმსჯელა და მიზნობრივი სამეცნიერო-კვლევის ფინანსური უზრუნველყოფისათვის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ბიუჯეტიდან გამოყოფილი თანხის გადანაწილება მოახდინა წარმოდგენილი პროექტების სრულყოფილებისა და აქტუალურობის შესაბამისად. საბოლოოდ, თანხა გადანაწილდა ყველა ქვევით ჩამოთვლილ პროექტზე: ეკონომიკის მიმართულება: 1. „ციფრული ეკონომიკის განვითარების ხელშეწყობი ეკონომიკური პოლიტიკა საქართველოში“ — ეკონომიკური პოლიტიკის კათედრა, პროექტის ხელმძღვანელი, პროფესორი რევაზ გველსიანი; 2. „ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმების გავლენა საქართველოს სავაჭ-

რო-საინვესტიციო ურთიერთობებზე“ — საერთაშორისო ეკონომიკისა და ეკონომიკურ მოძღვრებათა ისტორიის კათედრა, პროექტის ხელმძღვანელი, ასოცირებული პროფესორი ლელა ბახტაძე; 3. „საქართველოს სტუდენტი ახალგაზრდობის დემოგრაფიული განწყობა“ — ეკონომიკური და სოციალური სტატისტიკის კათედრა, პროექტის ხელმძღვანელი, ასოცირებული პროფესორი მერაბ ხმალიაძე. ბიზნესის ადმინისტრირების მიმართულება: 1. „უნივერსიტეტის იმიჯის გავლენა სტუდენტთა კმაყოფილებაზე და ლოიალობაზე (თსუ-ის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის მაგალითზე)“ — მარკეტინგის კათედრა, პროექტის ხელმძღვანელი, პროფესორი ნუგზარ თოდუა; 2. „დაგროვებითი საბუნბო მოდელის ანალიზი და საბუნბო აქტივების მენეჯმენტის პრობლემები“ — მენეჯმენტისა და ადმინისტრირების კათედრა, პროექტის

ხელმძღვანელი, პროფესორი დავით ნარმანია;

უჩა გოგიშვილი
თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის
ფაკულტეტის საზოგადოებასთან
ურთიერთობის სამსახურის
ხელმძღვანელი



26 მაისი და თსუ-ის მიერ მოწყობილი სპეციალური ჯუთხა რუსთაველაზე

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა საქართველოს დამოუკიდებლობის დღე სლოგანით — „გააზიარე ცოდნა“ — აღნიშნა. რუსთაველის გამზირზე 26 მაისის ფარგლებში გამართულ ღონისძიებებში შორის თსუ სპეციალური სტენდით წარსდგა, სადაც საზოგადოების წარმომადგენლებმა სხვადასხვა შემეცნებით-საგანმანათლებლო ღონისძიებებში მიიღეს მონაწილეობა.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა დამოუკიდებლობის დღეს მოქალაქეებს სხვადასხვა აქტივობები შესთავაზა, მათ შორის: თსუ-ის მიერ ორგანიზებული „ვეფხისტყაოსნის სამაგიდო თამაშები“, გიფების გადაღება, ელექტრონულ დრამზე დაკვრა, საბავშვო არქეოლოგიური გათხრები, ვირტუალური რეალობა, ბიოლოგებისა და მხატვრების კუთხე, გეოგრაფიული შემეცნებითი ვიქტორინები და სახალისო ცდები STEM მიმართულებით.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა შემეცნებით-საგანმანათლებლო ღონისძიება 26 მაისისადმი მიძღვნილი ღონისძიებების ფარგლებში ქუთაისშიც გამართა.



26 მაისი
 ეს დამოუკიდებლობა ჩვენია



მთავარი რედაქტორი
 ნინო კაკულია
მთავარი სამცხალისტი
 მაია ტორაძე
ტექნიკური რედაქტორი
 მანანა ჯურხაძე

წარმომადგენელი:
 ნატო ობოლაძე
 თამარ დადიანი
 შურთია ბეროშვილი

ფოტოკორესპონდენტი
 ანა ბოლქვაძე
კომპ. უზრუნველყოფა
 ზაზა გულაშვილი

რედაქციის წევრები:
 იაგო კაჭკაჭიშვილი,
 მანანა შამილიშვილი,
 თინათინ მარგალიტაძე,
 თინათინ ბოლქვაძე,
 ეთერ ხარაიშვილი,
 რევაზ გველესიანი,
 ირაკლი იმედაძე,
 გიორგი ჯიანიანი,
 თემურ ნადარეიშვილი,
 მორის შალიკაშვილი,
 მაია ივანიძე,
 ვლადიმერ მარგველაშვილი,
 გიორგი ლოზიანიძე,
 ნატა ასათიანი

მისამართი:
 ილია ჭავჭავაძის გამზ. 13
 (თსუ-ის მე-3 კორპუსი)
 ☎ 2 22 36 62

ვებგვერდი:
newspaper.tsu.edu.ge
ელ.ფოსტა:
tsunewspaper@tsu.ge



2017 წლის 1 ოქტომბრიდან გადაცემა „ენიკა-სტუდია“ გადის რეგიონულ ტელევიზიებში, რუსთაველის რეგიონულ მაუწყებელთა ასოციაცია უზრუნველყოფს (თსუ-სა და რუსთაველის რეგიონულ მაუწყებელთა ასოციაციასთან გაფორმებული მემორანდუმის თანახმად).